პარასკევი, 9 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ ... მიიღება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 167 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 167

...რმათ დამწუხრებულნი მშობლები მამა ასლან, დედა ესმა, ძმები პოლიკარპე, კირილე, ვლასი, ვასიკო, მიშა და რომანი, დები ლიზა, ედუკი და ...ონა, სიძეები სამსონ მამალაძე და ბიქტორ ჭუმბაძე, რძლები ანიჭკა და ...ლდა ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას უძვირფასესი პორუჩიკის

 შალვა გაფრინდაშვილისა

...დაკრძალვა მოხდებ 9 აგვისტოს სოფ. ტაბაკონში (შორაპნის მაზ.) (2—2)

გულდათუთქული მეუღლე სუსანა (ბუჩუ) თეოვანეს ასული ფანცულაიასა, მწუხარებაში მყოფნი ძმები მეთოდა, ალექსი, დაი ფოტინე და გაზრდილი ფადუ, რძლები მატა და ფედოსია, ძმის შვილები გენადი, ლადი და ლავრენტი და ყველა ნათესავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 10 აგვისტოს (ახალი სტილით) გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი უეცრათ გარდაცვლილის

დიმიტრი საბას ძე ფანცულაიას

სულის მოსახსენებლათ ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაზე, ქ. ფოთში. (1—1)

## შოვინისტთა კონსპირაცია

ჩვენი სურვილია სომხეთის რესპუბლიკა გამაგრდეს. ჩვენი მისწრაფებაა სომხეთის დემოკრატიაც გამოფხიზლდეს, ...ლი შეიქნეს და საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ნიადაგზე დადგეს.

ჩვენ გვინდა—განსაკუთრებით მეგობრული, ამხანაგური კავშირი სომხის, თათრის და სხვა ერების დემოკრატიასთან ამიერ-კავკასიაში. დემოკრატიის ...ლიდარობის გარეშე ჩვენ ვერ ვხედავთ ...ნას.

მაგრამ შოვინისტები ყველა ქვეყნისა ...თნაირათ არიან გაჟღენთილი ხალხის, ...სის, დემოკრატიის სიძულვილით. დემოკრატიზმი მათთვის საშიში საფრთხეა, ...ლაა, ხალხის დამეგობრება—სასაფ...ოთ. და ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ხალხთა შორის კლასობრივი ბრძოლის მეთოდები ეროვნულ ბრძოლის მოწამლული წესებით შესცვალონ. გადაკიდე ერთმანეთს სომეხი, ქართველი, თათარი და ...ილებ ჯოჯოხეთს ამიერ-კავკასიაში, რომელსაც მეფისტოფელივით ხარხარით ...ვდებიან ყველა ჯურის ნაციონალისტები. მათი დღეგრძელობის ხანა დადგება მაშინ.

ასე იყო ბალკანეთის ერებში.

სოციალდემოკრატია მათ უქადაგებდა ...ოლიდარობას და შეერთებას. ნაციონალისტები კი უწყობდენ პროვოკაციას და აჯანყებებს.

საშვალება—პროვოკაცია ორნაირია: იდეური და მოქმედებითი.

იდეურათ ეს მოძულენი ერისა—ქადაგობენ: ეს ადგილი ჩვენია, აქ ადამის დროს ჩვენი ხალხი ცხოვრობდა: ყალბი სტატისტიკა, ყალბი ცნობები—გონების მომშხამველი ამბები—აი ამ იდეური ...ვლიანობის ნაყოფი. მაკედონიაში, მაგ., ბერძნების სიტყვით ბერძნები იყვნენ უმრავლესობა, ბულგარელების ცნობით—ბულგარელები, სერბიის სტატისტიკით კი—სერბიელნი. თვითეული იჩემებდა ტერიტორიას, ერს, წარსულს, მომავალს.

და განგაშებდა შოვინიზმი, ინთხეოდა ...ლი: შედეგათ რა მოყვა ამას? მათი ბრძოლა ოსმალეთის დესპოტიის წინააღმდეგ დამთავრდა შინაური ბრძოლით ერთმანეთში და ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაკიდებით.

„სერბიელთ ახლა ბულგარელებზე უსაზიზღრესი მტერი რ ეგულებათ. ბულგარელთ ყველაზე მეტი მეზობელი და მონათესავე სერბიელნი სძულთ.

ესაა შედეგი შოვინისტური ქადაგების. საქმეც ასეთი იყო მათი: ერთმანეთს აჯანყებას უწყობდენ, აფეთქებდენ, სწყვეტდენ, ტერიტორია ჩვენ დაგვრჩებაო.

ამიერ-კავკასია ამ მხრივაც მეორე ბალკანეთია. აქაც ერები ერთმანეთს შუბმას უპირებენ ერთი მტკაველი მიწისთვის. სომხის ნაციონალისტები თითქმის თფილისსა და კახეთსაც კი თავისათ ალიარებენ. ადერბეჯანელებიც არა ნაკლებ მადა გახსნილი არიან, ქართველ ნაციონალისტებსაც თვალი ყაზახისკენ უჭირავთ.

დემოკრატია თუ აყვა ამ განგაშს, ერთა საქმე ჩაიფუშება. თუ მშრომელი ხალხი ერთმანეთს გადაეკიდა შოვინისტების ქადაგებით—ამიერ-კავკასია სხვისი მსხვერპლი გახდება, განადგურდება. ეს უნდა შეიგნოს დემოკრატიამ.

შოვინისტურ ქადაგებას მოყვა ჩვენში შოვინისტური საქმეც. დღემდე ერთმანეთს უსევდენ სომხის და თათრის გლეხებს. დარბევა—აწიოკებას ქონდა ადგილი და დღესაც აქვს ყველგან, სადაც ეს ორი ერი ერთმანეთს ეკვრის. მხოლოდ ქართველები იდგენ ამის გარეშე რამოდენიმეთ მაინც.

ახლა შოვინისტებს სურთ ეს ხალხიც ამ მტრულ ატმოსფერაში გახვიონ.

ამ დღეებში მაგ. აღმოაჩინეს აქ მთელი საწყობი ყუმბარების, ზარბაზნების, ასაფეთქებელი მასალებისა მანთაშევის ქარვასლაში. ქარვასლა ხომ არსენალი არაა. იქ ასეთ საქონელს, საშიშს, საპროვაკაციოს ინახავდა თურმე სომხის ნაციონალისტები დაშნაკელები.

რისთვის ან ვისთვის?

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა მოქალაქე დაცულია თავდასხმისაგან. ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს იარაღი? ქართველების, თათრების, თუ სომხების? სულ ერთია ეს დანაშაულია ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. რათ იყო ასე ფარულად, სხვის სახელმწიფოში მეორე მთავრობის ფარული საწყობები? სად გაგონილა ასეთი შეთქმულ საზოგადოებათ გადაქცეულიყოს მთავრობა, რომელსაც მთელი ერის ბედი აბარია?

განა ეს ადვილად არ შეიძლება საპროვაკაციო საბუთად გადაიქცეს?

ჩვენ მივმართავთ პირველ ყოვლისა სომხის ხალხს, სომხის დემოკრატიას, რადგან აქ უწინარესად მათი ბედით თამაშობენ, მათ კეთილდღეობას უთხრიან ძირს.

რომ რამე მოხდეს, ხომ ამ დემოკრატიას დაატყდება თავზე?

ჩვენ ვამბობთ, ასეთი საქციელი იწვევს მღელვარებას, აძლევს საზრდოს ნაციონალისტურ განგაშს, სთესს უნდობლობას.

სომხის დემოკრატია ვალდებულია პირველ ყოვლისა ხმა აღიმაღლოს ასეთ მოქმედების წინააღმდეგ. სომხის ხალხმა თვით უნდა დაგმოს ასეთი საქმიანობა მათი ხელმძღვანელი წრეებისა.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისა და მით უმეტეს დემოკრატისთვის აშკარაა სომხის შოვინისტთა ზრახვანი და მისწრაფებანი.

ერთა შორის ბრძოლაში აღიზარდა ეს პარტია—დაშნაკცუტუნი, ერთა შორის მტრობის და შუღლის გაღვივებას ემსახურება იგი დღესაც.

და სანამ ამას ბოლო არ მოეღება, სანამ დემოკრატია სომხისა არ შეაქცევს ზურგს ამ არა მკითხე ძალათ მაცხოვნეებს, მანამ გაჭირდება ძმობა-ერთობის განმტკიცება ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის.

ერთობის მოციქული დემოკრატიაა, ერთობის გზა—მუშათა კლასობრივი ბრძოლაა. აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენ სომხის დემოკრატიას.

## ულმობელი ლოღიკა

ჩვენი რუს ამხანაგების ერთი ჯგუფი, რომელმაც გაზეთი „სოციალდემოკრატი" დაიარსა, თანდათან შორდება მარქსისტულ მსოფლმხედველობას. დ. გ. არჩევს ირ. წერეთლის სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ და უკვირს: როგორ შეუძლია წერეთელს ამტკიცოს, ვითომ გერმანიის მოწვევა საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წესის დამყარებას უწყობდეს ხელს. თავისი აზრის ნათელსაყოფათ დ. გ. ასახელებს გერმანიის მოქმედებას უკრაინაში, ყირიმში, დონის ოლქში.

ვინ არის მართალი: წერეთელი თუ დ. გ.? დ. გ. რომ არ ივიწყებდეს მარქსისტულ მეთოდს, ის მიხვდებოდა, რომ ესა თუ ის სახელმწიფო სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა გზით ანხორციელებს თავის მიზანს. მაგალითად, ინგლისი სრულს თავისუფლებას აძლევს ბურების რესპუბლიკას და საშინლათ ავიწროებს ინდოეთს. ასეთ მაგალითებს ბლომათ იპოვიდა დ. გ., რომ ერთნაირის წინასწარ აკვიატებულ აზრით არ იყოს შებორკილი. რა აზრია ეს? დ. გ. მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ საქართველო რუსეთს ჩამოშორდა. ამ საკითხში დ. გ. სავსებით გაჟღენთილია იმპერიალისტურ სულისკვეთებით, თორემ როგორ შეუძლია სოციალისტს ხმა ამოიღოს, მაგალითად, ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. დ. გ—კი პატეტიურათ კითხულობს: გვითხრას წერეთელმა სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოსთვის ის ნაციონალიზაცია, რომელიც დღეს მმართველობის ყველა დარგში ხდება?

ჩვენ თვითონ ვეკითხებით დ. გ.: მაშ როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო? ხომ თვითონ დ. გ. ამბობს, რომ არა ქართველები 30 პროცენტს შეადგენენ. ვთქვათ, ეს რიცხვი არ არის გადამეტებული. ნუ თუ 70 კაცმა 30 კაცის გულისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე უნდა აწარმოოს საქმე, თუმცა ამ ოცდა ათიდანაც დიდმა ნაწილმა—სომხებმა და მუსულმანებმა რუსული არ იციან? ეს იქნებოდა, ალბათ, დ. გ.-ს აზრით დემოკრატიზმი. და ალბათ დ. გ. და მის ამხანაგების იდეიურ გავლენას უნდა მიეწეროს ნ. ა.-ს აზრი, იმავ „სოციალ-დემოკრატში": „ნაციონალიზაცია რამდენიმეთ კიდევ არის დასაშვები მართველობის ზოგიერთ დაწესებულებებშიო".

კითხვა რომ პრაქტიკულათ დავსვათ, გამოდის შემდეგი: დღეს ყველა დაწესებულებებში მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისათვის გაუგებარი რუსული ენაა გაბატონებული. „სოციალ დემოკრატი" კი გამომდგარა და ცინიზმით ალსავსე კილოთი მსჯელობს: ნება აქვთ თუ არა ქართველებს გასაგები ენა შემოიღონ?

ჩვენ არ ვიზიარებთ იმპერიალიზმს. იქნებ უფრო მისაღები უნდა იყოს ის ჩვენთვის, როცა მას „სოციალისტები" გვაჩეჩებენ? ყველაფერს აქვს თავისი ლოღიკა.

## ერობის და თვითმართველობის კურსები

30 ივნისს ქ. თფილისში გაიხსნა ერობის და ქალაქის თვითმართველობის საქმეების შესასწავლათ კურსები. გაგრძელდა მხოლოდ 15 დღეს. ლექციებს მოუნდა 74 საათი. სამი სალამო დაეთმო მსმენელებთან საზოგადო საერთო საკითხებზე სჯა-ბაასს. მსმენელები იყო სულ 42 კაცი. უმეტესი ნაწილი ამათგან იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან გამოგზავნილი. სამი პროვინციელი ქალაქის თავი და ერთი საბჭოს თავმჯდომარე. მეტისმეტი ყურადღებით ეკიდებოდენ ლექციებს. უმაღლესი სწავლით აღჭურვილი იყო 5, საშუალოთი—21, პროფესიონალურით—5, პირველდაწყებითი—8, საშინაოთი—3. ეროვნების მხრით ნაწილდებოდა ასე: 26 ქართველი, 7 რუსი, 3 სომეხი, 2 ბერძენი, 1 ოსი და 1 თურქი.

მეცადინეობას ხელს უშლიდა სიძვირესთან ერთათ ის გარემოება, რომ მსმენელებს ჰქონდათ ორგანიზაციებიდან სხვადასხვა დავალებები და ხშირათ იძულებულნი იყვენ საქმეს მოშორებოდენ და ესრულებიათ მინდობილება. კურსების პროგრამა ფართედ იყო შემუშავებული, ის შეიცავდა თითქმის ყველა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ერობის და ქალაქის თვითმართველობასთან. დიდი ყურადღება იყო აგრეთვე მიქცეული ერობის განვითარების ისტორიაზე, თვითმმართველობის ძირითად პრინციპებზე, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება იყო მიქცეული იმ პრაქტიკულ კითხვების გადაჭრაზე, რომელნიც წამოაყენა საქართველოს ნორჩ თვითმმართველობების ცხოვრებამ; ასეთი კითხვები იყო: შემოსავალ გასავლის და საერთოდ ხარჯთაღრიცხვის შედგენა, დაბეგვრის მეთოდი, მუნიციპალური წარმოება, ე. ი. ფინანსიური კითხვები. 74 საათიდან ამ საკითხებს დაეთმო 32 საათი, ამ მხრივ ფრიად საინტერესო და ნაყოფიერი იყო ბოკონინის ლექციები, რომელმაც დიდი ინტერესი აღუძრა მსმენელებს. ქალაქის ფინანსებზე ლექციებს კითხულობდა ფრიად გამოცდილი და ნიჭიერი ლექტორი, რომელმაც თავის ლექციებს და საუბრებს მოანდომა 20 საათი. ერობის ფინანსებზე ლექტორმა მხოლოდ ოს საათს ისაუბრა, რითაც ერთობ მსმენელები არ დარჩენ კმაყოფილი. მათი სურვილი იყო მეტი დრო მოენდომებიათ ასეთ სერიოზულ და საინტერესო საკითხისათვის. საინტერესო და შინაარსიანი იყო ლექციები. ნაციონალური საკითხის შესახებ ქალაქის თვითმართველობაში ლექტორმა სამართლიანად აღნიშნა, რომ დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული სარჩევნო კანონი სავსებით უზრუნველყოფს უმცირესობაში წარმოდგენილ ერის ინტერესებსო. ქალაქის თვითმართველობის როლი ლტოლვილთა საკითხში. გამოირკვა, რომ ლტოლვილები შეადგენენ თითქმის მცხოვრებთა $^{1}/_{7}$ ნაწილს ამიერ-კავკასიაში. ფრიად მარტივად და გასაგებად იქნა გაშუქებული. საერთო პროგრამა ამით გათავდა. უდაოა ის, რომ ამ კურსებმა მსმენელები საერთოდ გააცნო საერობო მუნიციპალურ მუშაობას და ბევრს გაუფანტა სხვადასხვა ხასიათის გაუგებრობა. იბადება კითხვა: რა მისცა კურსებმა მსმენელებს? არ შეიძლება ითქვას, რომ ამ კურსების მნიშვნელობა განისაზღვრებოდეს მარტო იმით, რომ მოგროვდა 40 კაცი და შეითვისა 50 წლის პრაქტიკით შეძენილი სხვადასხვა ახალი აზრები და ცოდნა თვითმართველობის დარგში. გვგონია, რომ უმთავრესი მნიშვნელობა ამ კურსებისა ის არის, რომ მან ერთად თავი მოუყარა საქალაქო მომუშავეთ, როგორც პრაქტიკებს, ისე თეორეთიკებს, სხვადასხვა შეხედულებების და მიმართულების მქონეთ, როცა თითეულმა მათგანმა გამოსთქვა თავისი ნამდვილი აზრი და შეხედულება, გამოირკვა, რომ ამ სხვადასხვა მიმართულების და შეხედულებათა მქონე ხალხს ჰქონია საერთო ენა, აზრი და მიზანი. აღმოჩნდა, რომ რუსეთის საერობო მოღვაწეთა დაკვირვება და გამოცდილება, უნდა გამოყენებულ იქნას ამიერ-კავკასიაში. ამ რიგათ კურსების მეოხებით შეიქმნა მჭიდრო ორგანიზაცია ქალაქთა კავშირთან და ჟურნალ „კავკასიის ქალაქთან". ამ ორგანიზაციამ მიზნათ დაისახა მთელი რიგი საკითხების მოწესრიგება ახლო მომავალში,—როგორიცაა: ორგანიზაცია სარედაქციო კოლეგიის, რომელიც დაბეჭდავს მთელ რიგ სტატიებს ერობის და ქალაქის თვითმართველობის საქმეების შესახებ, მოამზადებს პროგრამას სპეციალურ კურსების მოსაწყობათ და სხვ. მოლაპარაკებას გამართავს რუს საერობო მოღვაწეებთან, რათა ჩვენმა ახალმა თვითმართველობებმა ისარგებლონ რუსეთის გამოცდილებით და სხ. ერთი სიტყვით, დაწყებულია დიდი საქმე და სწორედ იმ დროს, როცა ეს აუცილებლად საჭირო იყო, შესდგა ჯგუფი, რომელიც პასუხს გასცემს ყველა იმ მოღვაწეთ, რომელნიც შეხვდებიან ცხოვრებაში რაიმე გაუგებარ საკითხებს და ამის შესახებ შეეკითხებიან ბიუროს, რომელიც არსებობს ჟურნალ „კავკასიის ქალაქთან". (პუშკინის ქ. 3.) გარდა ამისა საუბრის დროს თავი წამოყო მთელმა რიგმა საკითხებისამ: საჭიროა თუ არა საგუბერნიო ერობა? შეიძლება თუ არა მთლიანი სტატისტიკის შექმნა? როგორია საერობო ფინანსების წყარო? და ბევრი სხ. ყველა ეს კითხვები დაუყონებლივ უნდა გადაიჭრას. დასასრულ უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი თანდათან ამზადებს ნიადაგს ერობის შემოსაღებად.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

7 აგვისტო.

**მოსკოვი.** კემიდან ჩამოსული მურმანის რკინის გზის დამცველი რაზმიდან ჩამოვიდა 7 კაცი, რომელთა გადმოცემით, ინგლისელებმა დააჯერეს დამცველი ჯარიდან ზოგიერთები ჩაწერილიყვენ მოკავშირეთა ჯარში. ჯარში იწვევდენ აგრეთვე მცხოვრებთაც. პირველად მცხოვრებნი ხალისით ეწერებოდენ, მაგრამ რა რომ ინგლისელებმა რეპრესიებს მიყვეს ხელი, დამოკიდებულება შეიცვალა. კემში ინგლისის რაზმმა დახვრიტა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი რიცხვით 30 კაცი, მათ შორის ამხანაგები კამენევი, მოსოლინი და კომიტეტის მდივანი.

8 აგვისტო.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. გუშინ სომმის ახლოს ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი 280 გაიზარდა. ინგლისელების იერიში ბრეიკორბის სამხრეთით მოგერიებულ იქნა. მეზვერავთა ძლიერი მუშაობა იყო ლისის და აპრის ორივე მხარეს, დილით რესლთან მცირე შეტაკება იყო. წამოვიყვანეთ ტყვეები. სალამოთი ძლიერი სროლა იყო. მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**ვენა.** იტალიის ფრონტი. წარსული დღე-ღამის განმავლობაში საარტილერიო სროლა იყო და მზვერავთა მოქმედება. ალბანეთში მოვიგერიეთ იტალიელთა იერიშები. დავოლის მაღლობ ნაწილში ჩვენ წინ წავიწიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. რაფატთან გუშინ ღამით მტრის რამდენიმე როტით მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ და მტერს ზარალი მივაყენეთ. მთელი დღის განმავლობაში ორივე მხრით ძლიერი საარტილერიო სროლა იყო.

**პარიზი.** უაზისა და ენს შუა ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელები იერიშით მივიდენ ბეილსა და ტრანშ-დე-ვალზე. იერიშები მოვიგერიეთ. ბრენის აღმოსავლეთით ფრანგთა ჯარები ამერიკელებთან ერთად გადავიდენ მდ. ვესლაზე და გამაგრდენ ჩრდილოეთის ნაპირად. ჩვენმა ჯარმა აქ გამაგრება შესძლო მიუხადავათ იმისა, რომ გერმანელებმა ორჯერ მოიტანეს ძლიერი იერიშები. რეიმსის ჩრდილოეთით ფრანგებმა წინ წასწიეს თავიანთი ხაზი 4 კილომეტრით ბრეტელისა და ლაონის შუა.

**ბერნი.** სირაკუზში სამხედრო მასალების საწყობების აფეთქება მოხდა. დაიხოცა 115 კაცი. ზარალი 2 მილიონ დოლარს უდრის.

**პარიზი.** (რეიტერის სააგენტო). გუშინ დილა ადრიან გერმანელებმა კვლავ დაუწყეს პარიზის რაიონს შორს მსროლელი ზარბაზნებიდან ყუმბარების დაშენა.

**როტტერდამი.** „ნიუიორკის ჰერალდი" იტყობინება, რომ დასავლეთ ფრონტზე გერმანელებმა აამუშავეს დიდი ზარბაზნები. უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანია ომის წარმოებას ახალი საშუალებით იწყებსო.

## უკანასკნელი ცნობები

**მარტვილის რაიონი** (სამეგრელო).

როგორც სარწმუნო პირები გადმოგვცემენ, მარტვილის რაიონში ისევ გაჩენილა ბალშევიკთა ბრბოები. წინეთ თუ ს. გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა ამ ბრბოს, დღეს ნაკატორლალი ალ. ხაჟომია მოჰქცევია. დღემდე გორდსა და კინჩხაში მოთარეშე ხაჟომიას რაზმი ჩამოსულა და მარტვილიდან 4—5 ვერსის მოშორებით სოფ. ინჩხურსა და ბალდაში დაბანაკებულა. აგვისტოს 1 რიცხვებში ხაჟომია რამდენიმე თავის ჯარისკაცებით დასცემია ბალდაში ალ. შავდიას და სულ ყოველივე, რის წაღებაც კი შესძლეს წაუღიათ. ასეთი მაგალითები მრავალია. დღითი დღე ელიან შიგ მარტვილში მათ მოსვლას და ხალხი გადახიზნულია. მარტვილის მცხოვრებნი შველას ითხოვს მთავრობისაგან, დარწმუნებული არიან, რომ მთავრობა მათ ყაჩაღების ხელში არ ჩააგდებს.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

6 აგვისტოს სხდომა.

(დასასრული)

**ირ. წერეთელი.** კითხვა ერთის მხრით სავსებით გამორკვეულია, მე შევეხები მხოლოდ იმას, რასაც წინა ორატორები არ შეხებიან. მუშების ზოგიერთ ნაწილში ისმის საყვედური, რატომ აქცევთ ასეთ დიდ ყურადღებას ეროვნულ დემოკრატებსო. შემოიტანენ სრულიად უმნიშვნელო შეკითხვებს, მთავრობა აძლევს პასუხს, იმართება კამათი, ეს ერთგვარი რეკომენდაციაა ამ პარტიისო. დიახ, სამწუხაროდ, ეს მწარე სინამდვილეა. ჩვენი ცხოვრება დაწვრილმანდა, დაქვეითდა, ამის მაჩვენებელია ის, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოდის ეროვნულ-დემოკრატების პარტია, რომელსაც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში არა აქვს ფესვი მოკიდებული და არავითარი ღირებულება არ შეუქმნია და რომელსაც პოლიტიკური ანბანიც არა აქვს შეგნებული. დემოკრატია, რომელიც მსოფლიო მტრებს ებრძოდა, დღეს სამწუხაროდ იძულებულია ებრძოლოს ისეთ სუსტ და უსუსურ მოწინააღმდეგეს, როგორიცაა ჩვენი ნაც.-დემ. აქ ნაციონალ-დემოკრატები გამოდიან საჩხერის ამბების შესახებ და ამტკიცებენ, რომ ამ მოძრაობას უღრესად ეროვნული ხასიათი აქვსო. მე მინდა ამ საკითხს შევეხო არა დემოკრატიულის თვალსაზრისით, არამედ ნაც.-დემოკრატების თვალსაზრისით. ასე არც ერთი ქვეყნის მემარჯვენე პარტია არ მოიქცეოდა. ავიღოთ მაგალითად ირლანდია. როცა აჯანყება ხდება ირლანდიაში და ამას ნამდვილი ეროვნული ხასიათი აქვს, ინგლისის მემარჯვენენი ცდილობენ როგორმე სხვა ხასიათი მისცენ ამ მოძრაობას და მას უბრალო ინტრიგებს უწოდებენ. არასოდეს არ ცდილან ისინი (მემარჯვენენი) ეს მოძრაობა ეროვნულ მოძრაობათ მოინათლოთ. ჩვენში კი რას ვხედავთ? ოსეთში მოძრაობა დაიწყო პროვოკატორების, ბალშევიკების აგიტაციის წყალობით, ჩვენი ნაციონალისტები (მემარჯვენენი) კი ამტკიცებენ, რომ ეს ეროვნული ხასიათის აჯანყებაა და სხვ. თვით გარიბალდის მოძრაობასაც იქაური მემარჯვენენი ნაციონალურ მოძრაობად არ სახავდენ. ჩვენში კი დანამდვილებით იციან, რომ ოსების მოძრაობა არ იყო ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ჩვენი მემარჯვენენი მაინც ამბობენ, რომ იქ ხალხის ღრმა გულში ეროვნული ინტერესებია ჩაფლული და ის ამოძრავებსო. ვინც საქმის ვითარებას გაეცნობა, ის ადვილად მიხვდება, რომ პროვოკატორები, ბალშევიკები და ნაციონალისტები ხალხის შეგნებით კი არ სარგებლობენ, არამედ—მოტყუებით. ვინ მოიგებს ამით? ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ არ მიხვდეს, რომ ამით ოსები წააგებენ. აქ ეროვნულ მოძრაობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ბალშევიკების უმსგავსო აგიტაციასთან, რომელნიც მიდიან ხალხთან და ეუბნებიან, რომ შეუერთდით რუსეთს და მაშინ პურიც ბევრი გექნებათ და სხვაცო. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ გარემოება არ დაინახოს. და მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ბალშევიკები უფრო საშიში არიან, ვინემ ჯიოევები და სხვა ნაციონალისტები. უყურებ ამას კაცი და გიკვირს, რამ დააბრმავა ეს ხალხი, რომ საჩხერის მოძრაობაში ბალშევიკებს არ ხედავენ და ეროვნულ მოძრაობათ ნათლავენ. ან შეიძლება განზრახ გსურთ მიაფუჩეჩოთ ბალშევიკების გავლენა საჩხერის ამბებში? მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ სთქვათ, რომ ეს გადამახინჯება თქვენთვის სასარგებლო იყოს. ნაც. დემ. ჩვენში ისეთი საშუალებებით იბრძვიან, რომ ძნელია მათთვის ანგარიშის გაწევა. როცა პრუსიის სარდალს ჰკითხეს, რომელ სარდალთან უფრო გეძნელება ბრძოლაო, მან უპასუხა, რომ რუსის სარდალ სალტიკოვთან, რადგანაც არ ვიცი, თუ საიდან მოიტანს იერიშს (სტრატეგიის უცოდინარობისა გამო), ესვე შეიძლება ითქვას ნაციონალ-დემოკრატებზე. ჩვენ, როცა მოწინააღმდეგის ვებრძოდით, მაშინ მისგან რამეს ვსწავლობდით. აქ კი მოწინააღმდეგეს ჯერ უნდა აუხსნა უბრალო პოლიტიკური ანბანი და შემდეგ უნდა გააგებინო შენი აზრი. აი ტრაღიზმიც ამაშია. მაგ., ჩვენ იძულებული ვართ ავუხსნათ მოწინააღმდეგეს, რომ არის სახელმწიფოებრივი კონტროლი და პოლიტიკური კონტროლიც და სხვა. ამიტომ წელ-მოლეულად გიხდება მოწინააღმდეგესთან ბრძოლა.

ამიტომ არის, რომ ჩვენი პარლამენტის სხდომები უფერულია და უსიცოცხლო. ჩვენ ვუსურვებდით ჩვენს მუშებს

არა მარტო კარგ მეგობრებს, არამედ წელში გამაგრებულ მოწინააღმდეგის ყოლასაც (ტაში).

საბჭომ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: „მოისმინა რა სახჩერის ამბების შესახებ შეკითხვაზე მთავრობის განმარტება, საბჭო კმაყოფილდება ამ განმარტებით და გადადის მორიგ საკითხზე“. განსახილველია დ. ჩიქოვანის შეკითხვა მილიციის უკანონო მოქმედების შესახებ. საბჭომ ეს საკითხი გადასდო შემდეგი სხდომისათვის.

ა. სიგუა.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**მთავრობაში.** მთავრობამ დაადგინა მიეცეს ბოკუჩავას 9,807 მან. 73 კაპ. 10 მილიონიან თანხიდან, რომელიც დახარჯა მან უკრაინიდან ქართველების გადმოსაყვანად.

— სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ, მთავრობამ დაადგინა მოხდეს თანდათანობითი და სრულიად თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საერთო სალიკვიდაციო კანონისა იმ განსხვავებით, რომ შტატს გირეშე დარჩენილ მოსამსახურეებს მიეცეს სალიკვიდაციო თანხა ნაღდ ფულათ.

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს** მორიგი სხდომა შესდგება დღეს დილის 11 საათზე.

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან გადასდოს 200 ათასი მან. სანიტარული რაზმის შესანახად.

**სამხედრო ტყვეების სასარგებლოდ,** რომელიც გერმანიიდან და ოსმალეთიდან ჩამოვიდენ გადადებულ იქნა 50 ათასი მან. 10 მილიონი ფონდიდან.

**განათლების მინისტრს** მიენდო შეიმუშავოს სქემა ქართულ გიმნაზიების შესახებ და აგრეთვე—გეგმა ცალკე გიმნაზიის დაარსების შესახებ რუსთა და სომეხთათვის, იმ პირობით, რომ ახალი მოწაფეების მიღების დროს უპირატესობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა შვილებს.

**მარილი.** ვინაიდან სასურსათო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მცხოვრებთა წლიურათ საჭირო მარილის შეძენის შესახებ ხელშეკრულება დასდო, მარილის შეძენა-შემოტანა კერძო პირთაგან და დაწესებულებათაგან აკრძალულია. განაწილება მარილისა მცხოვრებთა შორის დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს, გარდა თფილისისა და ქუთაისისა, სადაც განაწილებს მარილს ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებანი.

**დაჯარიმება** გარნიზონის უფროსმა ეზოს უსუფთაობისათვის დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონები: არაქელოვის სახლის გამგე კ. ფიევი 500 მანეთით, ბაისოგოლოვი—500 მანეთით, კურიკოვი—500 მანეთით, მანუელოვი—200 მანეთით, გამანდოროვი—100 მან., ზაქაროვი—200 მანეთით, ტერ-გასპაროვი—500 მან., საგინოვი—200 მან., მ. კეკელია—100 მან., ხაჩატურიანი—100 მან., გრიბკოვი—100 მან., ტერშჩენკო—100 მან., კოლტუხჩევი—300 მანეთით.

**დაჭრილთა კომიტეტს** მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად მიეცა 36,145 მ. 43 კაპ. ათი მილიონის ფონდიდან. წინადადება მიეცა ყველა დაწესებულებებს ფულის მიცემა აწარმოონ განსაზღვრულ წესით. დაინიშნოს, დაჭრილთა კომიტეტის კასიდან 36,145 მ. 43 კ. მოტაცების შესახებ გამოძიება.

**საქართველოს ღერბი.** ჯავახიშვილის წინადადებით სახელმწიფოს ღერბათ უნდა იყოს თეთრი გიორგი შვიდ მნათობით, რადგან ეს გამოხატულება ისტორიულად დაკავშირებულია ქართველ ხალხის არსებობასთან.

**გერმანიის დელეგაცია** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გერმანიის შტაბის ქართული ჯარის შტაბში გადასვლის შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

**დატუსაღება.** მილიციის უფროსის დადგენილებით ს. ბარჩაკაშვილი, ქუჩაზე ნებადაურთველათ ვაჭრობისათვის დატუსაღებულ იქმნა ერთი თვით.

5 აგვისტოს სასახლიდან გარნიზონის უფროსს წარუდგინეს დატუსაღებული აფხაზთა პოლკის პარუჩიკი მ. თ. შლატტერი, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი მოწმობა სუხუმიდან ქერჩში ათი ათასი ფუთი თამბაქოს გასატანად.

**დუშეთის მაზრაში ბრძოლის დროს** ჩვენმა ჯარმა წამოიღო 2 ათასი ვინტოვკა, 4 ზარბაზანი, 15 ტყვიის მფრქვეველი და აუარებელი ზარბაზნის ყუმბარები. მოკლულია ჩვენის მხრით 7 კაცი, დაჭრილია 20.

**სასურსათო სამინისტრომ** კერძო პირთან ხელშეკრულება დასდო კავკავიდან 50,000 ფუთი ხორბლის შემოტანის შესახებ.

**დუშეთის სოფლებში** შესდგა რაზმი, რომელიც აგროვებს დარჩენილ იარაღს.

**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა** სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა გადიდონ გადასატან შავ ქვაზე გადასახადი ფუთზე 57 კაპეიკამდე.

**ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და 11 საეჭვო. მორჩა 10, მოკვდა 9 ხოლერიანი და 1 საეჭვო. 7 აგვისტოს საავადმყოფოში იყო 127 ხოლერიანი და 37 საეჭვო.

**სამხედრო ხასამართლოში.** ხვალ, აგვისტოს 10 ს, დილის 10 საათზე გაიხსნება პირველი საჯარო სხდომა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოსი.

**გერმანიდან წამოსულან ქართველი** სამხედრო ტყვეები, 26 აფიცერი და 150 ქართველი ჯარის კაცები. მათ ამ დღეებში მოელიან თფილისში.

**საბუხჰალტერო კურსები.** საბუხჰალტერო კურსების გამგე ნ. ბ. აბრამიანი თავის კურსებთან 1 სექტემბრიდან ხსნის ორივე სქესისათვის განყოფილებას, სადაც შეისწავლება ყველა კომერციული საგნები ქართულ ენაზე. მეცადინეობა ყოველ დღე, კურსები 3 თვიანი. მიღება ყოველ დღე, 9—10 ს. და 5—7-ს. ნიკოლოზის ქ. № 22.

**არზრუმის სამხედრო რკინის გზის** ინჟ. განის მიერ აღძრული შუამდგომლობა რეკვიზიციის ძალით მისგან ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების შესახებ, დაკმაყოფილებულ იქმნა.

**რაჭა-ლეჩხუმის** დამხმარე საზოგადოების კრებაზე არჩეული საორგანიზაციო კომისიის კრება არის დანიშნული პარასკევს, 9 აგვისტოს, 6 საათზე. ქსენიევის ქუჩა № 11-ი. სირაძის ბინაზე. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

### ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ.

ხვალ, შაბათს 10 აგვისტოს სალ. 5 ს. (ახ. დრ.) შესდგება თფილისის საქონლის სადგურის მუშათა პარტიული კრება პროფესიონალურ კავშირის კომიტეტის შენობაში. გასარჩევი იქნება მრავალი საყურადღებო კითხვები. ამიტომ ვთხოვთ სულყველა პარტიულ წევრებს არ დააკლდეს და დანიშნულ დროზედ გამოცხადდეს.

— დღეს საღამოს მუშათა კლუბში (მიხაილოვის ქუჩა № 65) წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტრავიატტა“ და „ლაკმე“.

# ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**ფოთი** ნავთსადგურის სამმართველო დღემდის ქალაქის თვითმართველობის ხელში იყო. ეხლა ის გადავიდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხელში. ამ დღეებში შესდგა ფოთში ფინანსთა მინისტრის გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით თათბირი, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს და წარმოუდგინოს მთავრობას სამი კვირის განმავლობაში ნავთსადგურის მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ სადამოჟნო და სხვა ყოველ გვარ გადასახადებს უნდა ახდევინებდეს მხოლოდ დამოჟნა.

— ამ დღეებში მოვიდა კონსტანციიდან (რუმინია) და წავიდა ბათუმში გერმანიის დიდი გემი, რომელმაც ჩამოიყვანა ბათუმისათვის ოსმალეთის ჯარი— ორი ათასი ასკერი.

— ახლო მომავალში დაიწყება მდ. რიონზე ახალი ხიდის აგება, რომელიც შეაერთებს კუნძულსა და ნავთსადგურის ტერიტორიას. ამ ხიდს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რაშიაც დარწმუნდა აგრეთვე ფინანსთა მინისტრი. ხიდის ბეტონების ჩამოტანა მოასწრო როგორც იყო ბათუმიდან მისი აღების წინ ქალაქის თავის მოადგილემ ალ. კორძაიამ. ამ ბეტონების ღირებულება აღემატება სამას ათას მანეთს. ვინაიდან ხიდს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ქალაქის თვითმართველობამ მიმართა მთავრობას დახმარებისათვის. პროექტის შემდგენელის, ინჟ. სერგეევის გამოანგარიშებით, საჭირო ხიდის აგებისათვის 660,000 მან. ხიდი იქნება ვიზენტინის სისტემის და მაზე გავა „კანკა“—ნავთსადგურის ნაპირამდე.

**დ. ჩოხატაური.** 4 აგვისტოს აქ ეჭვი აიღეს და დააპატიმრეს ოზურგეთიდან ეტლით ახლათ მოსული სურების საზოგადოების მცხოვრები მირონისო ბარამიძე. გაჩხრეკის დროს მას სხვადასხვა ალაგას აღმოაჩნდა 22,450 მ. როცა მას შეეკითხენ, თუ სად იშოვნა ამდენი ფული, მან განაცხადა—„კარტში“ მოვიგეო, მაგრამ ფული ხუთას მანეთიანები და სხვები სრულიად უხმარია. კომისარის და მილიციონერების თანხლებით ის გაგზავნეს ოზურგეთში. მასვე აღმოაჩნდა ორი რევოლვერი და ყალბი მოწმობები. ფიქრობენ, რომ ის მონაწილეა იმ ფულის გატაცებაში, რომელიც ნატანებს გზაზე გაიტაცეს ავაზაკებმა.

— თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადების შემდეგ აქ შემოიტანეს სიმინდი და ჰყიდიან ფუთს 110 მან.

— სწავლა-განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად, აქ სწავლის დაწყებას აპირებენ 20 სექტემბრიდან.

— ადგილობრივ სამინისტრო სასწავლებელში განსვენებულ სერ. რამიშვილის მაგიერ ზედამხედველათ დანიშნეს მასწ. ვლ. ლამბაშიძე.

— ამავე სკოლის სამზრუნველომ სამსახურიდან დაითხოვა ტიტე მშვიდობაძე.

— ადგილობრივ საავადმყოფოში მუშაობს ექიმი ვიქტორ სიხარულიძე თავის თანაშემწე ფერშლებით უსასყიდლოთ. მათი მეცადინეობით მიღებულია ზომები, რომ ნანეიშვილში გაჩენილი ხოლერა სხვაგან არ გავრცელდეს.

— ერთ კვირაზე მეტია გურიაში გამუდმებით წვიმს.

— უპურობის გამო ხალხი დიდ გასაჭირს განიცდის. დიდი ხანია არავისგან არაფერი არ მიუღიათ ამ რაიონში. როგორც დიდი რაიონი, საჭიროა ზემო გურიასაც მ ექცეს ყურადღება.

# ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔ

ომი და სიძვირე ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან.

ვაი და უი მათ სიმღერას. წყევლა და კრულვა ომსა და სიძვირეს.

მარა წყევლით საქმე არ გაკეთდება.

მართალია ჯერ ომმა და მერე სიძვირემ შექმნეს ისეთი გარემოება, რომელმაც ჩვენ მოგვცა რევოლიუცია და შემდეგ თავისუფლება, მაგრამ საშიშოა სიძვირის მიერ მოტანილი თავისუფლება ისევ სიძვირემ არ წაიღოს.

საფიქრებელია ეს ნორჩი თავისუფლება ამ წყეულმა ომმა და სიძვირემ არ გამოგვტაცოს ხელიდან.

ომი ხომ ომია... ის ხალხის, სიმდიდრის გამანადგურებელია... ომი კაცობრიობის წინსვლელობის ჩარხის უკუმა დამაბრუნებელია...

მარა არც სიძვირე ჩამორჩება თავის უფროს ძმას, ომს უკან.

ასე თუ ისე ომი მოვიშორეთ... თავიდან მოვიცილეთ. ცოტათი თავისუფლათ ამოვისუნთქეთ.

ზავი ჩამოვარდა...

შინაური ანარქია ქრება.

აჯანყებულები იღვიძებენ. ისინი ქედს იხრიან საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.

საქმეს კაი ბოლო უჩანს.

ქართველ ხალხს იმედი ეძლევა კეთილი მომავლისა...

ის იწყებს სახელმწიფო აღმაშენებლივ მუშაობას.

მარა აი ეს წყეული, ეს ცნობილი სიძვირე გვიშლის ხელს; გვიხუთავს სულს; გვიფუჭებს საქმეს.

უმთავრესი სიძვირის მიზეზი ომია. ომი ადგილობრივ მაინც ჩაბარდა პატრონს. სიძვირე კი ისევ ხარობს; მიდის წინ; მის გაუმაძღრობას არ აქვს საზღვარი.

სჩანს რაღაც მიზეზები კიდევ ყოფილა ომს გარდა, რომელნიც სიძვირეს ხელს უწყობენ

გამოვნახოთ ეს მიზეზები!..

არც შორს წასვლა, არც დიდი ძებნა არაა ამისათვის საჭირო.

ყველასათვის აშკარაა, რომ აქ იმ პირთა გაუმაძღრობაა თავი და თავი მიზეზი სიძვირისა, რომელთა ხელში ასე თუ ისე ესა თუ ის საქონელია დარჩენილი.

აი მაგალითი: შებრძანდით თუნდა რომელიმე საფართლოში. ვსთქვათ დაგიფასათ არშინი ორ შაურიანი ჩითი ორ თუმნათ. თქვენ უყურებთ რო თქვენს გამოცარიელებულ ჯიბეს და ჩითის უვარგისობას—სთავაზობთ ცოტა ნაკლებს. „ხაზეინი“ გამყიდავი კი ჯავრობს, ღელდება და პასუხის ღირსადაც არა გხდით.

მიდიხართ მეორესთან. ვაის გავეყარე უის შევეყარე. იქ კიდევ უარესაა.. რალას იქ, ბრუნდები პირველთანვე, ვაი საშინელებავ. ეხლა ეს ორ შაურიანი, უკაცრავათ, ორ თუმნიანი ჩითი უკვე სამი თუმანია.

როგორ—ეკითხები: ასე ჩქარა, სულ ათ წუთში ამდენი იმატა, ასე გაძვირდა!

ვინ გაქცევს ყურადღებას. გინდა იყიდე—არა და მიბძანდი... სხვა იყიდის...

ასეთი სურათის მოწამე ბევრია თქვენგანი, მკითხველო

რას ფიქრობენ ეს ვაჟბატონები!

რის იმედი აქვთ!

თავისუფლების არა?..

დედა, რა კაი ყოფილა ეს თავისუფლება.

ორ შაურათ ღირებულს გავყიდი სამ თუმნათ.

აბა ბიჭია, მითხრას ვინმემ რამე.

მადლობა ღმერთს ლენინი შორსაა.

მე კი თავისუფალი საქართველოს შვილი ვარ.

თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა ჩვენი მთავრობა. დღეგრძელობა ჩვენს მთავრობას რას მიქვია ვიში-ვიში... მათრახის დრო წავიდა, გაჰქრა.

ჰაი ჰაი, რომ მათრახის დრო წავიდა. მაშინ ასე ვერ იპარპაშებდენ ჩვენი სპეკულიანტები.

მაშინ მათრახის ეშინოდათ.

პრისტავი ზურგზე ტყავს გააძრობდა. ვირის აბანოსაც არ მოაკლებდენ.

მოდი და გაიგე ამათი—ამ სპეკულიანტების, ამ გაუმაძღარი ქვეყნის პარაზიტების საქმე. აქ რაღაც გაუგებრობაა.. შეუგნებლობაა... თავისივე ინტერესების გამოურკვევლობაა.

განა თავისუფლებას ამისათვის ვნატრობდით, მისთვის ვწირავდით მას ყოველივეს, რომ ვიღაცა სპეკულიანტ ვაჭრებს სული ამოვახდენინოთ, ქვეყანა დავანგრევინოთ?

არა ეს შეუძლებელია.

დროა ჩვენი მთავრობა საქმეს შეუდგეს ამ ვაჟბატონების ასალაგმავათ.

ამის ძალა და საშუალება ჩვენ მთავრობას მოეპოება.

ეს ვაჟბატონები აიძულებენ მთავრობას სისასტიკე გამოიჩინოს. ეს ვაჟბატონები ვერ ჩნობენ მთავრობის კარგსა და დემოკრატიულ მხარეებს. მათ უნდათ დემოკრატიის რისხვა. ამასაც მიიღებენ.

მაშინ იძახონ: რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო.

ამ სპეკულიანტებს რაც არ ერგება, არც შეერგება. მათ ვერ შეიღირსეს ადამიანობა, სიკეთე, თავისუფლება.

რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გეღირდესო. რომ ამ წარმოუდგენელმა სიძვირემ არ გამოიწვიოს მეტი გამწვავება, მეტი შევიწროება, საჭიროა ახლავე ზომების მიღება ამ სპეკულიანტების ასალაგმავათ. რათაც უნდა დაგვიჯდეს დაყოვნება შეუძლებელია.

ცოტაც და ფული—მანეთი დაკარგავს თავის ღირებულებას.

მერე კი დაიწყებენ წუწუნს ეს ვაჟბატონები თუ შენახულ-შეგროვილი ფული გაუხუნდათ.

ყოფილა შემთხვევა, რომ გლეხს თავის მიერ გაფუჭებული ფული ბანკში მიუტანია გამოსაცვლელათ.

თუ ეხლა გაფუჭებულის გამოცვლა შესაძლებელია, მაშინ, როცა ფული დაჰკარგავს თავის ღირებულებას, ყოველი ცდა ამაო იქნება. მაშინ ვეღარც თავის ფულს უშველიან ეს ვაჟბატონები და ქვეყნის საქმეც წაგებული იქნება. ამას ეს ბეცები ვერა გრძნობენ, ვერ ხედავენ. ფულის მოგების სურვილმა ამათ დაუბნელა, დააკარგვინა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა და მოსაზრება.

ამათ გამოღვიძება, გამოფხიზლება უნდა. ესენი მარტო თავის თავს როდი დაღუპავენ. ამიტომ ამ ხალხის მტერთა შესახებ ლმობიერება, კაცთმოყვარეობას ალაგი აღარ უნდა ჰქონდეს. ყველა როდი ყოფილა თავისუფლების ღირსი.

დეე, რაც დასთესეს, ის მოიმკან...

უღირსი შვილები თავისუფლებისა უნდა აილაგმონ.

ს. დოლიძე.

# ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

### ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ.

აი დამცველიც ასეთი უნდა ჰყავდეს კაცს, მით უმეტეს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც აუარებელი დეფექტები მოეპოვება. ს. დოლიძეს მოსწონებია რკინის გზის წისქვილების მიერ დაფქული ქვა, მიწა, თივა, ნაგავი, მარილი და იაპონური ლობიოსთან შავი ქერი, რომელიც ერთად არეული შეადგენს ს. დოლიძის „პირველი ხარისხის პურს“ და რომელსაც კი ნამდვილად ოთხფეხი საქონელიც ვერ ინილებს. და ეხლა თქვენს გასარჩევათ მომინდვია, ადამიანს თუ ეჭმევა ასეთი „პირველი ხარისხის“ ათ შაურათ ღირებული პური. ს. დოლიძე თან ამტკიცებს, რომ ხუთ გირვანქა პურში ოცდა ორი მანეთი რჩება ჩვენს მუშებსო. ეს იმ დროს, როცა ნაგვიანი პურის ჭამის გამო უერ ვლესობა შიგნეულის ავადმყოფობით არის ავად და ოცდა ორი მანეთის მაგიერ ასი მანეთები ეხარჯებათ წამლებში და მაინც ვერა რჩებიან. და აღარ ვიცი რომელი საბუთების ძალით ამტკიცებს, რომ რკინის გზის მუშები მოგებული არიან პურის მხრითო. მე კი ვიტყოდი, რომ მართლა მოგებული იქნებოდენ, როგორც რკინის გზის მუშები, ისე ორგანიზაცია, რომ მთავარი სასურსათო კომიტეტი მიაწვდიდეს მათ ორას მანეთად ღირებულ ფქვილს, რომელიც უფრო ადვილად იშოვება, ვინემ ისეთი პური, როგორითაც გვკვებავენ ამ დრომდე. აქვე მოვიყვან რამოდენიმე ციფრებს იმ პურის შესახებ, რომლითაც იკვებებიან რკინის გზის მუშები. სასურსათო კომიტეტი ჰყიდულობს იაპონიურ ლობიოს, სოიას, და შავ ქერს, რომლებიც შეიცავენ:

მტვერს 10 პროც. ქვას და სილას 25 პროც. მარილს 35 პროცენტს, სულ უვარგისს სამოცდა ათს პროცენტს.

წმინდა შავი ქერი რჩება 30 პროც. ასეთი მომზადებული ქერის მარცვალი უჯდებათ 60 მანეთი ფუთი, ჰყიდიან კი 24 მანეთად ფუთს, მხოლოდ მთავრობა ადებს ყოველ ფუთზე 36 მანეთს, ასე რომ 30 ფუთ გაკეთებულ ქერში მთავრობა იხდის 6000 მანეთს, ე. ი. ფუთი ქერი უჯდებათ 200 მან. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ყოვლად უვარგისს პურს ღებულობენ ზემოხსენებული მუშები, როდესაც შეიძლება 120 მანეთად ნამდვილი პურის ფქვილის შოვნა. იმედია, რომ ამისთანა შეცდომებს მოეღება ბოლო ვისგან ჯერ არს. დოლიძეს კი ვურჩევდი, რომ როდესაც ფაქტები არა აქვს ხელში, იმისანა წერილის მოთავსება გაზეთში, რომელიც მან მოათავსა „ერთობის“ მე 165 № ში, ცოტა უხერხულია.

ალ. ლუკაშევიჩი.

# ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

### აგრარული რეფორმის გამო.

როგორ უნდა გადიჭრას მიწის საკითხი ჩვენში? ამ საგანზე გაზეთ „ერთობა“-ში რამოდენიმე წერილი იყო მოთავსებული და ყველგან ის აზრი იყო გატარებული, რომ მიწები კერძო საკუთრებათ უნდა დაურიგდეს გლეხებსო. და ამას ასაბუთებენ იმით რომ, თითქოს იმდენათ ძლიერი იყოს ჩვენს გლეხებში მიწების კერძო საკუთრებათ შესყიდვის სურვილი, რომ ყველა ის გამოსვლები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში იყო მთავრობის წინააღმდეგ აგრარული საკითხის მოუწესრიგებლობის ბრალი ყოფილიყოს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება ჩემის აზრით. საქმე იმაშია, რომ ანარქია იმის შემდეგ გაძლიერდა, რაც კანონი გამოვიდა მიწების მემამულეებზე ჩამორთმევის შესახებ. კანონი გლეხების სასარგებლოთ არის, ამას კარგათ გრძნობს გლეხები, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგ მაინც გაილაშქრეს, რატომ? იმიტომ რომ მთავრობის მოწინააღმდეგე აგიტატორები შეიჭრენ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებში და ზედმეტს დაპირდენ, და ცხადია მიწის საკითხი, როგორც არ უნდა გადაჭრილიყო, თუგინდ რევოლიუციის პირველ დღიდანვე კერძო საკუთრებათ დარიგებოდა გლეხებსა და ისიც უსასყიდლოთ, გლეხები ჩვენს წინააღმდეგ მაინც გაილაშქრებდენ, თუ ჩვენ მათში არ ვიმუშავებდით, რადგან მოწინააღმდეგეს ყოველთვის შეუძლია მეტის დაპირება.

მაშასადამე ანარქიისგან, ის კი ვერ გვიხსნის, რომ გლეხებს მიწები კერძო საკუთრებათ დაურიგოთ და, ისიც სასყიდლით, რადგან პროვაკატორებს მეტი მასალა მიეცემათ:

არიქა მთავრობა ფულს გახთევინებს მიწებში და ფულით ხომ ძველადაც შეგეძლოთ გეყიდათ მემამულეთაგანო—ეტყვის პროვაკატორი უპატრონოთ მიტოვებულ შეუგნებელ გლეხს, თუ ჩვენ მათში მუშაობა არ გავაჩაღეთ. დავთანხმდეთ იმას, რომ გლეხებს მიწები კერძო საკუთრებათ შევასყიდოთ. მერე რა ფასებში? როგორც ვიცით ჩვენს ახლათ დაარსებულ რესპუბლიკას აუარებელი ხარჯები აქვს და შემოსავალი წყარო კი ჯერ-ჯერობით ცოტაა და საჭიროა შემოსავლის ერთი ნაწილი ჩამორთმეული მამულებიდან დაკმაყოფილდეს. ვიცით აგრეთვე დღეს ფულის კურსი ძალზე დაცემულია, ვერაფერს ისე ვერ იყიდი, რომ მანეთი სამ კაპეიკ ზევით ფასობდეს და ზოგიერთ საგნებზე ორი კაპეიკის საქმესაც ვერ აკეთებს. ასეთ მდგომარეობაში მიწებს ყიდი გლეხებზე, ფულს ახდევინებ და პირდები ეს ფული ისევ მას მოხმარდება: სკოლები, გზები, ხიდები და სხ. ერთი სიტყვით, რაც საჭიროა გლეხისთვის—ყველა მისი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილო, რისთვისაც საჭირო არის რამოდენიმე ათეული მილიონები. დღეს რომ რომელიმე სოფელში ერთი სასკოლო სახლი ააგო, იგივე სოფლელი გლეხი უნდა ამუშაო ზედ, რომელიც გადაგახდევინებს არა ნაკლებ დღეში 30 მანეთისა და თუ რამე უთხარი ხელათ გიპასუხებს ფულის კურსი დაცემულიაო, მაგრამ სულ სხვანაირად მსჯელობს ის, როდესაც შენგან ყიდულობს: თუ წინათ 300 მანეთად შეიძინდა ერთ დესეტინა მიწას და თუ შენ ეხლა მეტი გადაახდევინე გეტყვის: სპეკულიანტი ყოფილხარ, ამ ფასებში ამილახვარიც მომყიდდაო, მას თავისებური ბუხგალტერია აქვს, თუ მისგან ყიდულობ ბევრი უნდა მისცე, რადგან ფულის კურსია დაცემული და თუ შენგნით ყიდულობს და მეტი გადაახდევინე სპეკულიანტი ხარ და მით უმეტეს თუ სახელმწიფოსგან ყიდულობს. მე როგორც გლეხებში მომუშავეს და მათთან დაახლოვებულს ხშირათ მაქვს ხოლმე მათთან ლაპარაკი ამ საგანზე. იყო ასეთი შემთხვევა: ვეკითხები გლეხს, თუ რამდენს ახთევინებდა წინეთ მემამულე დესეტინაზე, ოც ფუთსო მიპასუხა, ეხლა რომ ხუთი ფუთი გადაგახდევინოს მთავრობამ რას იტყვი? ძლიერ სამართლიანი იქნებაო, მიპასუხა. თუ ფულს აძლევდით, რამდენს გახთევინებდათ? ათიდან თუთხმეტ მანეთამდის. დღეს რამდენი იქნება კანონიერი, ფულათ რომ გადაგახთევინოსთ მთავრობამ? 7-დან 10 მანეთამდის, იყო პასუხი. ვეკითხები კიდე, პური როგორ იყიდება ფუთი? 60 მანეთი. ასეთია ჩვენი გლეხის ანგარიში, თუ ფული გადაახთევინე 15 მანეთს მოგცემს დესეტინაზე, თუ ხორბალი—300 მანეთს.

ცხადია ასეთ პირობებში გლეხს ვერ მიყიდი მიწას, ვერც იჯარას გადაახთევინებ ფულათ. დღეს მხოლოდ ხორბალი უნდა გადაახთევინო იჯარათ და ისიც არა ფულათ, არამედ ხორბალი, მხოლოდ იმაზე ნაკლები, რასაც მემამულე ახდევინებდა.

ყველა ზევით ჩამოთვლილი მიზეზები მე მგონია საკმარისია, რომ ჩვენი მთავრობა დააჩქაროს [illegible] არ გასცეს მიწის შესახებ [illegible] ... საკითხზე, მოვაგონებ ჩვენს ... იმ მუხლს, სადაც ჩვენ მოვითხოვთ წების მუნიციპალიტეტებზე ... და არა კერძო საკუთრებათ ... მაშინ მე მგონი დიდი ფიქრი ... ნება საჭირო, რომ ეს კითხვა ... კერძო საკუთრებათ გადაეცემის ... —უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

ბ. შერთულის-...

# ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔ[ᲠᲔᲑᲘᲡ] ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

[illegible]

# ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕ[ᲠᲔ]ᲑᲘᲓᲐᲜ

27 ივლისი. [illegible]

მანეთზე გადაკიდებას; მოუწოდეს არ დაეჯერებინათ ჭორები და დადოდგანეგბულიყვნენ. გავაცანი ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, თუ რისთვის მოიწვია გერმანელები; რათ, ან ვისგან შეადგინა სახალხო გვარდია და ვისთვისა ჰღვრის სისხლსა. სოფლების ასამაღლებლათ მთავრობას შემოაქვს ეროზები, რომელნიც გააუმჯობესებენ სამეურნეო იარაღებს, დაჰხსნიან სკოლებს, გაიყვანენ რკინის გზებს აუარებელ სახელოსნოებით მოჰფენენ სოფლებს და დააკმაყოფილებენ სოფლის მრავალ საჭიროებას.

გრძნობიერი სიტყვით მიმართა კრებას გვარდიელმა დიმიტრი გოგნიაშვილმა.

საკრამულოელ მოხუც ოსმა სანდრო ბეჟანიშვილმა ამ ნაირად ახსნა დღევანდელი მდგომარეობა დუშეთის მაზრის გლეხობისა.

როგორც სწორე შუშაზე დადებული კვერცხი ჰგორავს და არა დგება თუ რამე არ შეუდე—ისე ხალხი არა ჰშოშმინდება. ამათ დასაყრდნობი უნდათ; საჭიროა თქვენისთანა ხალხის მოსვლა, რომ თქვენმა სიტყვამ სიმართლე დაანახოს, მალამოდ მოეცხოს გულზე.

ძალიანა გვჭირდება მოხედვა. რეერთი ხანია, რაც აღარც სამართალი გვაქვს, არც სხვა რამ წესიერება. ვინც ძლიერია და თავ-ხედი ის იმარჯვებს. კაცი აღარ არის, რომ უჩივლო, ზოგი მიწასაც არ ასცილებია და თავს გვაჯდება.

გლეხებმა იარაღის შესახებ გვითხრეს: არამც თუ თოფები, ხანჯლებსაც ჩაგაბარებთ, ოღონდ დამშვიდება გვეღირსოს. ნეტავი ისე მოაწყოთ საქმე, რომ ერთი თოფიც არ დაურჩინოთ სოფელს. მილიციისთვის რამდენიმე თოფი საკმარისიაო.

კრება რომ დაიშალა ორიოდე გლეხი მივიდა სარაიონო კომისართან და გაუმხილა, რომ აქვს ვინტოვკა: ეს ოხერი მოსვენებას არ გვაძლევდა, იმიტომ არ ვაჩენდით, რომ გვეშინოდა—ე მანდ ციხეში არ ჩაგვყარონო.

28 ივლისი.

„სანამ ხმალი მოვიდოდა—ენამ თავი მოსჭრაო“—ამბობდენ სოფ. ყვავილის გლეხები. ათას ჭორებს გადმოგვცემდა დიდი და პატარა: ხალხო და ჯამაათო! დაირაზმენით. მოდის ხალხის მოღალატე მთავრობა ® მოჰყავს თათრებიო. აი უკვე ჩაიარა მთავრობამა, თქვენც მოხველით, არც ღალატსა ვხედავთ და არც სად თათრები არიანო. ჩვენი ცოდვა ედვას, ვინც შეცდომაში შეგვყვანა და აგვიყოლიაო. ზოგი იმისთანა ბიჭი ზის ციხეში ი მოთრეულებისაგან გაბრიყვებული, რომ თავის დღეში მაზე ძვირს არავინ იტყოდაო. მართალია, ბევრი დაიჭირეს იარაღით ხელში, მაგრამ რა ექნათ იმ თვალ დამდგრებს? ემუქრებოდნენ დაგსჯით თუ არ შეებრძოლეთ გვარდიელებსაო. დასასჯელი ასეთები კი არ არიან, არამედ ისინი, ვინც ძალით აიძულებდა იარაღის აღებასაო.

აი ხომ უყურებთ ამ დედაკაცსა, ყველანი მაგისი ცოდვით ვიწვით... 20 დღეა, რაც ციხეშია მაგისი შვილი დაპატიმრებული და ელევა თვალი მისი ლოდინით... საცოდავს ქირნახული სულ გაუოხრდა, მუშაც არავინ არის, რომ დაიქირაოს და ამუშაოს.

ეს დედაკაცი იყო სოფიო შალიკაშვილი. იგი ტირილით მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა: სამი წელიწადი იმ დასაქცევ რუსეთში მყავდა შვილი გადაკარგული. ძლივს ვეღირსე მის დაბრუნებას. ვსთქვი: მომხედა ღმერთმა და შეუდგებით დანგრეული ოჯახის მოშენებას, მაგრამ დახეთ უბედობას! მოხდა ეს არეულობა და ისევ მომგლიჯეს შვილი გულს, ციხეში გამოამწყვდიეს, ის დედა მკვდარი. ახლა ყველა მუშაობაშია, დღეში 15—20 მანეთია მუშა ხელი და ჩვენ კი ასე ვღუპებით. დედავ ღვთის მშობელო, ნეტავი როდის მოუღებთ ბოლოს ჩვენისთანა ხალხსა, როდის გაგვითენებ ჩვენ საცოდავებსაო.

დ. თურდოსპირელი.

(შემდეგი იქნება).

## შ. ქარუმიძის „აღმოჩენა“

„ერთ-ერთი კუთხე, სადაც ადგილი არ ჰქონია მომწამვლელ თქვენს აგიტაციას და კლასთა ბრძოლას, ეს თიანეთის მაზრა იყო, და ის კიდევაც გადაურჩა ამ არეულობასაო“.

აი, ამ სიტყვებით მიმართა ნაც.-დემოკრატ. ზ. ქარუმიძემ სოციალ-დემოკრატებს 2 აგვისტოს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე...

თვითონ მე პირადათ მქონდა „ბედნიერება“ დამევლო თიანეთის მაზრის რამდენიმე რაიონი, მაგალითად თუშ კახეთი. აქ მატან მარელის 15-ს და პანკისის საზოგადოებაში 17-ს ივნისს გავმართე მიტინგი—სადაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ერთხმად აღფრთოვანებით ნდობა გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც სოციალ დემოკრატია უდგას სათავეში. აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ იქ ერთი გლეხი ოსის ოჯახში, სადაც ქართველებიც იყო სადღეგრძელოც კი დალიეს ამხანაგ ანანიას, ვანო გურულის, ვლასა მგელაძის და სხვების...

ერთხმად მთხოვა გლეხებმა: „გამოგვიგზავნეთ ასეთი პირები, რომ რაიმე შეგვნება შემოიტანოს ჩვენში, თორემ ჩვენ უსწავლელი კაცი ვართ შენი ჭირიმე და ხანდიხან კარგს ვაკეთებთ გვგონია და ცუდი კი გამოგვდის. ავიღოთ თუ გინდა ეს ერთი, ჩვენ არ ვუშვებდით აქ მიწის მიმღებ კომისიას, თავადების მოყიდულიაო გვეძახოდენ და ახლა კი ვხედავთ, რომ მოგვატყუეს ყველა გლეხები, მაგრამ იმედი გვაქვს არ აყვებით ჩვენს უგუნურებას და გვაპატიებთ და თუ გვიშველი ისევ ის სოც.-დემოკრატია, რომელმაც თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში პირველმა მიიტანა სამსხვერპლოზე თავიანთი პარტიის საუკეთესო ჩვენი დამცველი პირებიო“ და სხვა.

შამოგვფიცენ აქ კიდეც ყოველმხრივი დახმარება... და მართლაც ამ რაიონში ისეთი საშინელი გამოსვლები არ ყოფილა, როგორც ერწოს რაიონში...

როგორც ნათქვამიდან დაინახავთ, ჩვენი აგიტატორები ყოფილა თიანეთის მაზრაში.

მაშ, რად დასჭირდა ამოდენა ტყუილი ბ. ქარუმიძეს.

ახლა დავსვათ კითხვა—იყო თუ არა ბოლშევიკ. გამოსვლები თიანეთის მაზრაში?

მე ვამბობ იყო.

როდის? ერთი 20 ივნისს, როდესაც მე სიმონაანთ ხევის სოფელში ბოძზე მიმაკრეს ბატონ ნაციონალ-დემოკრატ გელოვანის და მისი ამხანაგის ბიჭინაშვილის და სხ. მეთაურობით...

რატომ მიმაკრეს ბოძზე?

იმიტომ რომ მინახეს ყველა საბუთები, რომლებიდანაც სჩანდა, რომ მე ვიყავი მთავრობის გაგზავნილი თიანეთის მაზრაში, და როგორც „კონტრ რევოლიუციონური“ თავად-აზნაურობის მოსყიდული გვარდიელების მომხრე გამოვდექი, ამიტომ, ცხადია, აქ თუ კი ასე ხმამაღლა ბედავს ბ-ნი ქარუმიძე და კომპანია სოც. დემოკრატების წინააღმდეგ გამოსვლას, იქ გელოვანი უფრო ადვილათ შესძლებდა ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას, მით უმეტეს, თვით გელოვანი გამოდიოდა, ჯარისკაცებში, ბოლშევიკების სახელით და ამიტომ მიიმხრო, რამდენიმე ოცი შეიარაღებული მობოლშევიკე ჯარისკაცები და რომ შორი ეძიებია „ვორდელებზე“, და სოც.-დემოკრატებზე წაუძღვა ბ. გელოვანი თავის რაზმს და წავიდა პირდაპირ წითელი გვარდიის და მთავრობის ჯარის საწინააღმდეგოთ დუშეთისაკენ. ამას ამტკიცებს ისიც, რომ, როდესაც მე წერილი მივუტანე მაზრის კომისარს და ავხსენი კიდეც, როგორი გამოსვლა იყო დუშეთში. რადგანაც ჩვენი რაზმის მეთაური მეგონა გელოვანი, მაშინ მან მისი პირით მითხრა: „დაპატიმრებული ხარ შენ, აქიდან ვერ წახვალო და კომისარს ჩვენ ვიცით, რასაც უზამთო და წავიდენ საბრძოლველათ“...

ამის შემდეგ იწყება ჩემი ბოძზე გაკვრის ცერემონია.. სადაც მონაწილეობას ღებულობდა თვით იმავე საზოგადოების კომისარი ლექსო ბიჩინაშვილი...

როგორც იყო გადავრჩი... საღამოს 20 მაისს მოდის მაზრის კომისარი ლაცაბიძე, პოეტი ტუქსიშვილი (20 მაისს) და მანთავისუფლებენ ოთხი ხუთი გალეშილი ბრბოს კლანჭებისაგან, რომლებსაც სწყუროდათ ჩემი სიკვდილი...

მაშინ დაიქადა ამ ვაჟბატონებმა: „ჩვენ ახლა მივდივართ ჩვენ რაზმთან და ხვალ თქვენ გაყურებიებთ სეირსო“...

და მართლაც, როგორც ქვეყანამ იცის შაქრო გელოვანის რაზმი დაეცა თიანეთის სამაზრო კომისარიატს, გაანადგურეს—გაძარცვეს და გაიტაცეს იქაურობა დაიჭირეს მთავრობის მილიციონერები—აწამეს და ამის შემდეგ გამომდგარა ბატონი ქარუმიძე და ასე უტიფრათ ამბობს: „თიანეთში არავითარი გამოსვლა არ ყოფილაო“.

ხომ ჩამოაგდეს მთავრობა და ხომ მოიტაცეს ყველაფერი?! ხალხსაც გაძარცავდენ, რომ მთავრობას დროზე არ ჩაექრო დუშეთის პროვოკაციული გამოსვლა. მათი ესე იგი გელოვანის კომპანიის მიზანი იყო ძარცვა-გლეჯა—მე ღრმათ დარწმუნებული ვარ ამაში, რად განაც მეც წამართვეს ერთი ცხენი, რომელიც თვით გელოვანმა წაიყვანა.

მერე ვინ იცავს, საერთოდ ავაზაკებს?!

ამის პასუხი თვით მკითხველისათვის მიმინდვია.

ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვი საზოგადოების საყურადღებოთ. სანამ ჩვენი იდეიური და ფიზიკური ძალები საკმაოთ იყო თიანეთში, არავითარ უწესოებას ადგილი არ ქონია და, როდესაც ასეთი ძალა შეგვიმცირდა, იმის შემდეგ დარჩა ბურთი და მოედანი შაქრო გელოვანს და ლექსო ბიჩინაშვილს, რომლებიც ტიპიური ავანტიურისტებია.

საჭიროა მათ წინააღმდეგ ზომების მიღება. და მაშინ ხალხი ყოველივეს გეტყვის გულ ახდილათ, დღეს კი თვალზე ცრემლ მორეულები იძახიან:

— მთავრობაც და ჩვენი „ღმერთიც“ გელ ივანია—და იმას რომ გადავუდგეთ, ხომ ამოგვწყვეტს... ვინ გვიპატრონებს?!

მიეცით გლეხების ამ გულის სიღრმიდან ამონახეთქ კითხვებს პასუხი...

ეხლა ვეკითხები შ. ქარუმიძეს და კომპანიას: იცის თუ არა მან და მისმა კომპანიამ, რომ თიანეთის მაზრის მთავრობა შეიარაღებული ძალით ჩამოაგდეს ნაციონალ-დემოკრატებმა' შ. გელოვანის მეთაურობით და გაიტაცეს ყოველივე მთავრობის ქონება,—თუ იცის, როგორ ჰბედავს ასეთი „ხალხის“ (გელოვანი და კომ.) დაცვას?!

ი. ყაჭიეშვილი

## რუსეთის ცხოვრებიდან

(ამხანაგის ნაამბობი).

**სამხედრო საქმის მდგომარეობა**

ბოლშევიკურ რუსეთის რეალური სამხედრო ძალა მეტის მეტად სუსტია. უმთავრესად ეყრდნობიან ლატიშთა მსროლელ პოლკებზე. დაახლოვებით მოსკოვშიჰყავთ ამ ჟამად 20 ათას კაცამდე. არიან წითელ-გვარდიელებიც, მაგრამ მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. წითელ გვარდიაში ეწერებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სამსახური უზრუნველყოფს მატერიალური მხრით. დღემდე წითელი გვარდია შესდგებოდა თავისუფალ მოხალისეებისაგან, ბოლო დროს კი მოსკოვში და პეტროგრადში გამოაცხადეს მუშების მობილიზაცია.

**მუშების სულიერი განწყობილება.**

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მუშების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკურ ლოზუნგებმა გაიტაცა და საბჭოთა მთავრობას მხარს უჭერდა. მხოლოდ ამა წლის მაისიდან მუშების სულიერი განწყობილება შეიცვალა, მათ გამოფხიზლება დაეტყოთ. ბოლშევიკებს მუშების დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია, მაგრამ არ ჰქონდათ საერთო ორგანიზაცია, კავშირი, რომ აშკარათ უნდობლობა გამოეცხადებიათ მთავრობისთვის, ეს იმიტომ, რომ მუშათა დამოუკიდებელი ორგანიზაციები დღეს რუსეთში აღარ არსებობენ. საბჭოებმა თავისი მნიშვნელობა დაჰკარგეს. მუშებმა მოინდომეს ორგანიზაციის შექმნა, მაგრამ ლეგალურად მთავრობის (ბოლშევიკური) საწინააღმდეგო ორგანიზაციის დაარსება შეუძლებელი იყო. მაშინ მათ პეტროგრადში დაარსეს მუშების რწმუნებულთა ბიურო. ამ ბიუროს გარშემო შემოკრბა პეტროგრადის პროლეტარიატის დიდი ნაწილი, უმთავრესად პუტილოვის ქარხნის მუშები, რომლებზედაც ბოლშევიკები ეყრდნობოდენ წინეთ. ამ ორგანიზაციამ გამართა კრებები, მიტინგები, სადაც ღებულობდენ მთავრობის საწინააღმდეგო რეზოლიუციებს. მაგ., 8 ივნისს პუტილოვის ქარხანაში გაიმართა კრება, სადაც მუშებმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ რუსეთის ტრაღიკულ მდგომარეობას და ვხედავთ რა, რომ სახალხო კომისართა საბჭო უძლურია მოაწესრიგოს, როგორც საერთოდ სახელმწიფოებრივი ცხოვრება, კერძოთ სასურსათო საქმე, მოვითხოვთ აღდგენილ იქნას სხვადასხვა ორგანიზაციები: ქალაქის თვითმმართველობა, ერობის თვითმმართველობები, კოოპერატივები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ორგანიზაციები დღეს არ არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ისინი ბოლშევიკებმა დაუქვემდებარეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და ყოველგვარი ინიციატივა წართმეული აქვთ.

ამავე დროს მოითხოვდენ პრესის და კრების თავისუფლებას (რუსეთში დღეს შემოღებულია სასტიკი სამხედრო ცენზურა ბოლშევიკების გაზეთების გარდა, სხვა გაზეთები ხშირად იხურება სავსებით).

9 ივნისს ბოლშევიკებმა გამართეს ისევ პუტილოვის ქარხანაში მიტინგი. მუშებში ჩაურიეს წითელ-გვარდიელები, რომ მათი საშვალებით გაეყვანათ თავისი რეზოლიუცია. მუშების ნაწილი კრებიდან წავიდა და წითელ გვარდიელებმა და დარჩენილ მუშებმა მიიღეს ბოლშევიკური რეზოლიუცია.

10 ივნისს ისევ შეიკრიბენ მუშები და განიმეორეს 8 ივნისს მიღებული რეზოლიუცია, და მოითხოვეს სახალხო კომისართა საბჭოს გადადგომა. აი აქედან იწყება მუშების წინააღმდეგ რეპრესიების მიღება. ამ ბიურომ ორგანიზაციული მუშაობა გადაიტანა პროვინციებში: ნიჟნი ნოვგოროდში, ვლადიმირში, ტულაში და უკანასკნელ ხანებში მოსკოვში. ობუხოვის ქარხნის მუშებიც ამ ბიუროს გარშემო დაირაზმენ. წითელ არმიელებმა ნიჟნი-ნოვგოროდში დახვრიტეს ურჩი მუშები. ამ გარემოებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ობუხოვის და პუტილოვის ქარხნის მუშებში. მოხდა საპროტესტო გაფიცვები ნიჟნი ნოვგოროდში, ტულაში, ვლადიმირში.

უკანასკნელ ხანებში ამ ბიუროს ინიციატივით მოწვეულ იქნა მუშათა რწმუნებულთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 76 კაცი. კრების გახსნისთანავე მათ თავს დაესხა წითელ გვარდიელები და 56 კაცი დაიჭირეს. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია მუშებში. პეტროგრადის ბიურომ გამოაცხადა საერთო გაფიცვის მოწყობა (რკინის გზაზედაც). აირჩიეს გაფიცვის კომიტეტები, მაგრამ ბოლშევიკებმა მიიღეს ზომები და ეს კომიტეტები დაატუსაღა. ამ რიგათ გაფიცვამ საერთო ხასიათი ვერ მიიღო და ნაწილ-ნაწილად ჩატარდა უმნიშვნელოდ. საერთოდ მუშებს დიდი გამოფხიზლება ეტყობათ და ბოლშევიზმს მალე მთლად შეაქცევენ ზურგს.

**წ ა რ მ ო ე ბ ა.**

წარმოება მეტად დაცემულია. ნედლი მასალა სულ აღარ არის. მუშები მაინც იღებენ ჯამაგირს და ყავთ უსაქმოთ დარჩენილი, რომ ექსცესები არ მოხდეს. მუშების ნაწილი ამის წინააღმდეგი არიან და აცხადებენ, რომ ჩვენ ინვალიდები ხომ არა ვართ უსაქმოთ ვიჯდეთო. მათ ბოლშევიკები მოუწოდებენ შეადგინონ რაზმები და სოფლათ რეკვიზიცია მოახდინონ პურის, ქარტოფილის და სხ. სოფლის გლეხობა პურს არ იძლევა. ტამბოვში, მაგ. წითელგვარდიელები გლეხებმა განდევნეს და კარტოფილი ლორებს შეაჭამეს.

**პროვინცია.**

სოფლათ, პროვინციებში, არჩევნებში ბოლშევიკები მარცხდებიან და საბჭოში მენშევიკები და მემარჯვენე სოც.-რევ. გადიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლშევიკები ახალ საბჭოებს ითხოვენ ხოლმე. მთავრობამ სოფლათ გლეხებს დაარსებია ღატაკთა კომიტეტები, რომლებმაც უნდა შემოიკრიბონ ძალები და ებრძოლონ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიას. ბოლშევიკები წვრილ ბურჟუაზიისაგან მოელიან საფრთხეს და ამიტომ სურთ გადაკიდონ სოფლის ღატაკი გლეხობა უფრო შეძლებულ გლეხობას. საერთოდ სოფლის გლეხობა შენატრის ძველ რუსეთს, ნიკოლოზის მთავრობას.

**სასურსათო საქმე.**

სასურსათო საქმეები მეტის მეტად აწეწილ-დაწეწილია. მოსკოვში დღეში ¹/₈ გირვანქა პურს იძლევიან. ისე პურს ვერ იშოვნი. თუ იშოვეთ გირვანქა 8 მ. ფასობს. ჩრდილოეთ კავკასიას და ციმბირს ცენტრალური რუსეთი მოწყვეტილია და პურის შემოტანას ვერ ახერხებს. სასურსათო კრიზისი სოფლებშიდაც არის. დეპეშები მოსდის მთავრობას ყოველ დღე, რომ შიმშილის ნიადაგზე მოსალოდნელია ექსცესები. მოსკოვი დღემდე იკვებებოდა ეგრეთ წოდებულ მეტომრეების მიერ შემოტანილი პურით. სოფლებში პურის რეკვიზიციის გამოცხადების გამო ახლა ვერც ესენი ახერხებენ პურის შემოტანას და დიდი შიმშილობაა. სტალინმა შეისყიდა ცარიცინში რამოდენიმე ვაგონი ფქვილი, მაგრამ გზაზე ყაზახებმა წაართვეს.

ასეთია საერთოდ რუსეთის მდგომარეობა იქიდან ჩამოსულების გადმოცემით.

ა. სიგუა.

## ტფილისის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო: ბარბარე იოსების ასულის ღვინიაშვილისაგან ათი წიგნი სხვადასხვა აღმოსავლურ ენაზე; ალექსანდრე ნეიმანისაგან 19-ე საუკუნის ერთი ხელთნაწერი; გიორგი ბურჭულაძისაგან „კვალი“ უკანასკნელი შვიდი წლისა, ზოგი ნომრების გამოკლებით, „მოგზაური“ 1905 წ., „ერი“ 1910 წ., „საქართველოს მოამბე“ 1910 წლ., „კლდე“ 1914 წ. „ივერია“ 1906 წ. „განათლება“ 1908 წ. 1 წიგნი, 1909 წლ. 1 წიგნი, 1910, 11 და 12 წლების ზოგი ნომრები; „ცნობის ფურცლის“ დამატებანი 1902—06 წლ. ზოგი ნომრების გამოკლებით, ორი ხელთნაწერი ახალი დროისა, ბერჟესი და ბაქრაძის რუსული წიგნი—არქეოლოგიიდან და მისივე ნაწარმოები: „გერმანელების ახალშენები ამიერ-კავკასიაში“; გენერალ ვ. დ. გაბაშვილისაგან 1 ატლასი, 52 წიგნი, ჟურნალები და რუკები, ერთი პატარა ყუთი და თიფი შუშის ყუთით; ან. ახალშენიშვილისაგან ტფილისის პირველ დაწყებით სკოლების ქართვ. მასწავლებელთა შორის შეგროვილი სამას ათი მანეთი და 50 კაპ., ნიკ. ბადრიძისაგან სოფ. ნორიის მომხმარებელი საზოგადოებისაგან შემოწირული ოცდახუთი მან., სოფ. ჯოლევში (სამეგრელოშია) წარმოდგენიდან შემოსული ორასი მანეთი ფული—გადმოგვცა ამ საქმის ინიციატორთაგანმა კაპიტ. ი. ანჯაფარიძემ.

უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

## სააღ.-მამულო რეფორმა

**ხამტრედიის რაიონის,** (ქუთაისის მაზრის) მიწების მიმღებ მესამე კომისიამ დაათავა მუშაობა სოფ. კულაშის საზოგადოებაში და 19 ივლისს გადმოვიდა დაბა საჯევახოში, გამოჩინებულის საზოგადოებაში. კომისიამ აქ გაწიცადა მთელი მუშაობის სიმძიმე, რადგანაც საჯევახოს რაიონში არც ერთი მამული დამიჯნული არ ყოფილა. მიწის მზომელებს უხდებათ ახალი ცხრილის შედგენა ® გეგმის გადატანა სამ ოთხ „პლანშეტზე“, რადგანაც მამულები სულ სხვადასხვა კუთხეშია. აქამდე კი მზა-მზარეული „პლანშეტებით“ მუშაობდა, მაგრამ მაინც დიდ დროს უნდებოდა: მამულების გამოკვლევას, მის მესაზღვრეების აღნიშვნას და სხვა. ამ რაიონში ისეთი დაქუცმაცებულია მამულები რომ კომისიის ყოველივე ცდის მიუხედავად, მაინც უნდება ორი კვირა; ადგილების დათვალიერებას, მის მოსაზღვრეების შედგენას მესაზღვრეების აღნიშვნას და სადაო ნაჭრების გამოკვლევას. არის მისაღები შემდეგი მამულები: ოტია ბესარიონის ძის კალოიანის, დიდი მაღულია; იასონ კალოიანის, სტეფანე თარგამაძის, მ. ერისთავის, მეორე ერისთავის, დუდუჩავების, მოსე სტურუასი ქ. სამტრედიის მცხოვრებია და ქალაქ გარეთ აქვს ნორმაზე მეტი: და წვრილ, ასე რომ, აქ იქნება 200 დესეტინამდი. როგორც საჯევახოს რაიონი თავის მდებარეობით იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ისე ამ რაიონის მამულებიც განსაკუთრებულ პირობებშია. მაგ., მთელი საჯევახოს ბაზარი, თავის კულტურული დაწესებულებით ოტია კალოიანის მამულის, საიჯარო ნაწილზეა და თუ მივიღებთ მხედველობაში ინსტრუქციის მე 9 § პირველ შენიშვნას, მაშინ მემამულე ამ ნაწილს ვერ შეიტანს თავის ნორმაში და უნდა გადავიდეს კომიტეტის განკარგულებაში. მაგრამ იმ მამულის ნაწილზე, რომლებიც გაცემულია სანაშენოდ, კომისია ვერ არის მთლიანად გამორკვეული, რადგანაც კანონში ამაზე არაფერი არ არის თქმული. საგუბერნიოს მიუღია ამაზე ცირკულიარული განკარგულება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ საკითხს გადაჭრილათ მაინც ვერა სწყვეტს. არის ერთ ფარგალში 60 ქცევა სანაშენოთ, რომელზედაც სახლობს 10 მოსახლე; სხვა ნაწილებში ბევრგან ისეა გაცემული სანაშენოთ და სახლები კი არ უდგიათ. ან და ედგათ ზოგს და მერმე კი სხვაგან საკუთრება შეუძენიათ და იქ დასახლებულან. ზემოთ მოხსენებულმა ათმა მოსახლემ განაცხადა, რომ ისინი დიდი ხანია ფლობენ მამულს, მათ მამა-პაპას გადმოუცია შვილებისათვის; როგორც ამბობენ, პირობებიც ჰქონიათ დაწერილი, მაგრამ ეხლა მათ ხელთ არა აქვთ. ეხლა კი მემამულეს აკმაყოფილებენ წლიური ჰირნახულის უმნიშვნელო ნაწილით და არა ფულით. თხოულობენ, რომ მთავრობამ საკუთარი ნაწილი დაუმიჯნოს. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა, მე მგონია, რომ ასეთები მიიღებოდეს, როგორც საზოგადოთ ხიზნები, რადგან ამ უკანასკნელებიდან ბევრათ არ განსხვავდებიან და გავრცელდეს მათზე დებულების ორი მუხლი ხიზანთა დამოკიდებულების შესახებ. მაშინ კომისიაც არ ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში და ასეთ შემთხვევებში არავითარ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება როგორც კომისიებში, ისე ახალ დაწესებულ სადგილ-მამულო კომიტეტებშიც.

მ. პატარიძე.

## მუშათა შორის

**ტფილისის საქ. სად. მუშების ცხოვრებიდან.** აქაურ მუშების მდგომარეობა კალმით აუწერელია. ეკონომიური პირობები სხვა დარგის მუშებთან შედარებით ძლიერ დაცემულია. ბევრჯელ გამოითქვა ეკონ. პირობების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ კანონიერ მოთხოვნილებას არავითარი ყურადღება და ანგარიში არავინ არ გაუწია. მასთან, ასეთი ბედი ეწვია მუშების კანონიერ მოთხოვნილებებს—პასუხი რომ მიგვეღო, იმის ღირსიც არ გახადეს რკინის გზის რევოლიუციონური მუშები. მუშებმა გადაიტანეს ბევრი გაჭირვება და ბევრი დამცირებაც, შიმშილი და აბუჩად აგდება. ეს გადაიტანეს იმიტომ, რომ მიზნად ქონდათ დასახული რევოლიუციის გამაგრება, თუ გამოვიდოდა ვინმე ჯამაგირების ულტიმატუმის წასაყენებლად ეკონომიურ ნიადაგზედ რკინის გზის ადმინისტრაციისათვის იმ წამსვე მოწინავე მუშები აჩერებდენ. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ტფილისის საქ. სად. მუშები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ დღეს ამ არევ-დარევის ხანაში ხელს შეუშლიდა ჩვენი ნორჩ რევოლიუციის გამაგრებას, მაგრამ დღეს მოთმინებაზედ ლაპარაკი ზედმეტათ მიგვაჩნია. ეს იმიტომ, რომ სიძვირე უმაღლეს წერტილამდის ავიდა. სადგურის მუშებს, რომ ჯამაგირი აქვთ ის მარტო საცვლის გარეცხვას უნდება. რკინის გზის ადმინისტრაციამ უნდა გაიგოს რა აუტანელ გაჭირვებაში ყოფილა სადგურის მუშები. მასთან ჯამაგირს გვიან გვაძლევენ ხოლმე, რომელიც უნდა რიგდებოდეს თვის პირველ რიცხვებში, იმას გვაძლევენ მესამე თვის 20 დან, 22-ან და სხვა, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ გაბატონდა სადგურში „ტაბელჩიკი“ რკინის გზაში ეგრედ წოდებული „არტელჩიკები“ და ძმანი მათნი. ამიტომ საჭიროა ყველა დემოკრატიის გულშემატკივრებმა ანგარიში გაუწიონ ტფილისის საქონლის სადგურის მუშების კანონიერ მოთხოვნას და მიიღოს მუშებისაგან თხოვნა რკინის ადმინისტრაციამ და დაჩქარებით გვაცნობონ რო მელი რიცხვიდან არის მუშებზედ ჯამაგირები მომატებული ან როდის მივიღებთ. მუშებს ეძლეოდა ნავთი განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ აგერ სამი თვე გადის წვეთი ნავთი არ მიუღიათ, რო მელიც სხვა სახელოსნოს მუშებს ჩვეულებრივათ ეძლევა. ამიტომ მოვალეა რკინის გზის ადმინისტრაცია გასცეს საფერისი განკარგულება, რომ ნავთი ჩვეულებრივათ მიეცეს სადგურის მუშებს, როგორც ეძლევა სხვა სახელოსნოებს. 10 აგვისტოს, [illegible] დროთი, ტფილისის საქონლის სადგურის პროფესიონალური [illegible] იწვევს სადგურის მუშების პარტიულ კრებას, ს.-დ. მუშათა პარტიის კრებას, ვინაიდან გასარჩევი იქნება ბევრი საყურადღებო კითხვები, ამიტომ ვთხოვთ სულ ყველა პარტიის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ დანიშნულ დროზე ამ საყურადღებო კითხვების გარჩევას.

ს. ჩ.

## ს.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** 6 აგვისტოს ტფილისის ტრამვაის მოძრაობის მცირე კოლექტივმა მოიწვია პარტიული კრება. დღიურ წეს-რიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ამხანაგ ლორიასი, 2) პროფესიონალური კავშირის წევრების არჩევნები, 3) მომატების შესახებ, 4) მიმდინარე კითხვები და სხვ. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. წიტაიშვილი. პირველი საკითხი ფ. ლორიას იქ არ ყოფნის გამო მოიხსნა. მეორედ იდგა არჩევნები პროფესიონალურ კავშირის წევრებისა. ამის შესახებ განმარტებას იძლევა ამხ. ლორია. მან სთქვა: „პროფესიონალურ კავშირის კრებებს ველარ ვესწრებით. უდროობის გამო უმრავლესი ჩვენი ფრაქციიდან აქ არ არიან და თუ არიან უდროობის გამო ველარ ესწრებიან, ამიტომ საჭიროა ახალი კანდიდატების არჩევა და წამოაყენა კანდიდატები. აგრეთვე იყო სხვა პირებისაგან კანდიდატები, მაგრამ ლორიას განმარტების შემდეგ კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით აირჩია შემდეგი კანდიდატები: თათარაშვილი, თარგამაძე, გეორგაძე და გოგვაძე. ამის შემდეგ კრებისვე სურვილით ამხ. ლორია შეეხო მიწის საკითხს, მან მოკლეთ გააცნო კრებას მთავრობის აზრი, თუ რა ზომებს ღებულობს, რომ მიწები გლეხებს გადაეცეს. აგრეთვე ჩამოთვალა სხვადასხვა ადგილას ხალხის სიმდიდრე. როგორიც არის ზაქათალის სიმდიდრე შირაქის ველები, ყარაიაზის მინდვრები და იმაური სიმდიდრე და აგრეთვე ჭალადიდის ჭაობებიანი ადგილები, საცა შეიძლება ჭაობების ამოშრობა და ამ მიწებით სარგებლობა. აგრეთვე მრავალი ტყეები, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სიმდიდრეს. კრებამ ყურადღებით მოისმინა. კრების მხრიდან იყო მრავალი შეკითხვა. გამოითქვა სურვილი კიდევ მოესმინათ ამ საკითხზე ბაასი, დაბოლოს ამხ. თ—ძემ კრებას მიმართა, რათა შემდეგისთვის როცა კრებები იქნება, აუცილებლივ დაესწრონ და დანიშნულ დროს გამოთქვა სურვილი, რომ კვირაში ერთხელ, სახელდობრ სამშაბათობით მოხდეს კრებები.

რ. თ—ძე.

**რკინის გზის სამმართველო.** 6 აგვისტოს შესდგა სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივის სხდომა ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით.

ამხ. ასათიანმა, რადგანაც მის წინააღმდეგ რამოდენიმე არა პარტიული წევრები სხვადასხვა ხმებს ავრცელებენ, ითხოვა კომისრობიდან გადაყენება. კოლექტივის სხდომამ, განიხილა რა ეს კითხვა ყოველ მხრივ, გამოარკვია, რომ ასათიანი შესაფერისად მოქმედებს და მტკიცედ ასრულებს თავის მოვალეობას. ამიტომ სხდომამ დაადგინა სრული ნდობა გამოუცხადოს ასათიანს ამ თანამდებობაზე და არა თუ შეიწყნაროს მისი თხოვნა გადადგომის შესახებ, არამედ—მისი თანამდებობის უფლების ქვეშ შევიდეს ეგრეთვე საბუხგალტერო განყოფილებაც, ხოლო იქ კომისრად მყოფი კოვალიოვი გადაყენებულ იქნას.

კოლექტივმა მოისმინა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება და ამის გამო შესაფერისი დადგენილება გამოიტანა ამხ. ლოგუამ მოხსენება გააკეთა შესახებ ახლად მოვლენილ რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კავშირისა. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. გამოირკვა რომ ამ ახლად მოვლენილმა კავშირმა უკვე დაიწყო გამთიშველი ნაბიჯების გადადგმა. 28 ივლისს მომხდარი კრება ამის დამამტკიცებელია. ეს კავშირი რევოლიუციონური და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობას ხელს უშლის. ამიტომ კოლექტივმა დაადგინა, არა თუ მონაწილეობა მიიღოს ამ კავშირში, არამედ გულისწყრომა და პროტესტი გამოუცხადოს ამ კავშირს და მის მეთაურებს და ებრძოლოს მის გამთიშველდეზორგანიზატორულ მოქმედებებს. მთავარ კომიტეტს წინადადება მიეცეს საჩქაროდ ზომები მიიღოს.

საქარელი მ.

**ტრაპიზონის ს. დემ. კომიტ. წევრთა საყურადღებოთ.** ტრაპიზონის დაცემის შემდეგ ჩვენ ვერ მოვახერხეთ თავი მოგვეყარა და უკანასკნელი ანგარიში გამოგვეშო. გაზეთებიდან მახსოვს რომ ამხ. ივ. ჭანტურიშვილმა დარჩენილი ფული წარუდგინა საოლქო კომიტეტს, აგრეთვე ვიცი ისიც, რომ დიდ

ძალი ბროშიურები ჩავაბარეთ ბათუმის კომიტეტს და სხვა, მაგრამ ყველა ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მოხდა და ერთი მთლიანი საბოლოო ანგარიში ჩვენ არ გამოგვიშვია. ამიტომ ვსთხოვ კომიტეტის ყველა წევრებს 30 აგვისტოს გამოცხადდენ ქ. ქუთაისში საბჭოს შენობაში (ამ დღესვე დანიშნულია ტრაპიზონის ყოფილი მ. და ჯ. საბჭოს კრება), რომ მოვახდინოთ კომიტეტის სრული ლიკვიდაცია. დიდათ საჭიროა კომიტეტის წევრებს გარდა, სარევიზიო კომისიის წევრების დასწრებაც.

ტრაპ. ს.-დ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ვ. შედია.

# პროვინცია

**ახალგორის რაიონი** (დუშეთის მაზრა, ქსნის ხეობა). 25 ივლისს დანიშნულებისამებრ ახალგორისკენ გავემგზავრე. აქ ვინახულე ახლათ ამორჩეული კომისარი ამხ. მიშა ცაგარელი. მას ბალშევიკურ ბრბოსაგან აოხრებული სოფლის სამმართველო წესრიგში მოჰყავდა. ყველაფერი მიგრეულ-მოგრეულია, საქმის ქაღალდები იატაკზეა გაბნეული, ავეჯეულობა დამტვრეული, ტელეფონის მავთულები დაწყვეტილი, აპარატიც გაფუჭებული. კომისარს ჯერ დამხმარე არავინა ჰყავს: არც მილიციონერები და არც მწერალი და ელის შესაფერ განკარგულებას.

ამ საღამოსვე გავიცანი აქაური პარტიული ამხანაგები, რომელნიც სიკვდილს ძლივს გადარჩენილან. მათ ამბოხების მოთავენი ძალით ერეკებოდენ თურმე „თავად-აზნაურობასთან" საბრძოლველად. ამ ამხანაგების დახმარებით სოფელ ქვემობოლში მოვახდინე პატარა კრება. ქვემობოლი ცნობილ პაპუნაშვილის სოფელი გახლავთ. სწორეთ ამ ვაჟბატონს მიუწამლავს მთელი ქსნის ხეობა და ახლა სადღაც გამქრალა. მაგრამ ფესვები აქ მაინც დაუტოვებია. მისვლისთანავე ეჭვის თვალით დამიწყეს ცქერა და დაიწყეს ბუზღუნი უმთავრესათ დედაკაცებმა: „ამისთანები როგორც მოსულან, ისე მალე წავლენო, თუ ქაღალდი არა აქვს მაგას უსიკვდილოთ არ გავუშვებთო". მართლაც კრების გახსნის წინ გაშინჯეს ჩემი ქაღალდი, მთელი საათი მოუნდენ კითხვას და თითქოს ვერ დაკმაყოფილდენ. მე დაწვრილებით ავუხსენი, თუ საიდან ვიყავი გამოგზავნილი და რა მიზნით.

იარაღის ჩამორთმევის წინაალმდეგ არავინ გამოსულა. „წინათ უნდა დაეგზავნა მთავრობას თქვენისთანა კაცები და ეს ამბავი არ მოხდებოდაო, მიწის კითხვა მალე გადაწყდეს და ჩვენ სხვა არა გვინდა-რაო".

თუმცა ყურადღებით მოისმინეს ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ეტყობოდა, რომ ნაკლებათ სჯეროდათ: ალბათ ესეც გვატყუებსო.

მეორე დღეს საღამოს სოფ. იკოთში მოვახდინე კრება. ეს სოფელი ორი ვერსით დაშორებულია ახალგორზე. მცხოვრებლები სულ ქართველებია: 160 კომლამდე იქნებიან. აქვთ თავიანთი კოოპერატივი, აპირებენ სკოლის გახსნასაც.

სამწუხაროთ აქაც საშინელი პროვოკაციის ქსელი გაუბამთ. ჯერ სანამ კრება გაიხსნებოდა ჯგუფ ჯგუფად დაიწყეს ლაპარაკი.

— კაცო,—დაიწყო ერთმა,—რაც ეს კავკავის გზა დაგვიკეტეს ლამის შიმშილით ამოვიხოცოთ: აღარც მარილია, აღარც „სპიჩკა".

— განა არ იცი ვინ დაგვიკეტა ეს გზა?—ჩაერია მეორე ლაპარაკში,—ეგ სწორეთ წითელი გვარდიის წყალობითაა თავად-აზნაურებმა რომ მოისყიდეს, მუჭობით აძლევენ ფულსა, ხალხს შიმშილით სული უნდა ამოხადონ და ძველებურათ დაგვაჯდენ კისერზე.

მეორე ჯგუფში კერენსკიზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— რაღა კერენსკი, ჩემო ძმაო, აი ჩხეიძე, მთელი სიცოცხლე ხალხისთვის შეუწირავს და ახლა იმასაც კი თავადებისთვის მიუყიდია თავის თავი.

აი ასე მოუწამლავს ხალხი პაპუაშვილს და მის დამქაშებს.

ჩემს ლაპარაკს ხარბათ ისმენდენ. ეტყობოდა, რომ მათ შეთვისებულ აზრების მოწინააღმდეგეთ კარგა ხანია არავინ ჰყოლიათ.

როცა დაწვრილებით ავუხსენი ყველაფერი, თუ ვინ არის გვარდია, ვინ არის ჩხეიძე, ყველა ისინი, ვინც დაბეჯითებით ლაპარაკობდა გვარდია მოსყიდულია და სხ., მხოლოდ ერთად-ერთ პასუხს მაძლევდენ: აბა რა ვიცით, ჩვენ ასე გვეუბნებიან, ხალხი ასე ლაპარაკობსო.

ხალხი თანდათან ერკვევა ბურუსიდან, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ეჭვებს შეუპყრია.

იარაღის ჩამორთმევის შესახებ თანხმობა განაცხადეს, თავის ნებით ჩააბარებენ მთავრობას.

— თუ იარაღი არ ჩამოერთვა ხალხს, ჩვენ მშვიდობა არ გვეღირსება, იარაღით ავი კაცები ისარგებლებენ, მძლავრი სუსტს დასჩაგრავს... შემოდგომის დროს, როცა ქორწილობა გახშირდება, თუ იარაღი დარჩა სოფელში, ყოველ დღე უბედურება დატრიალდებაო. ამას წინეთ მთვრალმა ოსებმა ტყუილ-უბრალოთ მოგვიკლეს კაციო. ასე ლაპარაკობდენ იკოთლები. 27 ივლისს საღამოს სოფ. ყანჩაეთს ვეწვიე, რომელიც იკოთზე ორი ვერსის მანძილზე მდებარეობს. ესეც მოზრდილი სოფელია. 150 კომლი იქნება—სულ ქართველობა. აქაური ხალხი ძალიან ჩამოჩენილია. არც სკოლაა, არც კოოპერატივი. სოფლის ამორჩეულ კაცებთან ერთმა მოხუცმა გლეხმა მიმაცილა. დამაფიქრებელი და მწუხარებით სავსე იყო მისი სიტყვები:

— აბა შვილო, არ ვიცით ვის დაუჯეროთ, გლეხკაცობას სულ გზა-კვალი აებნა... ამ ტყუილებით, შვილო, კბილები ჩამცვივდა და საქმეს კი ვერასა ვხედავთ... არ არის სამართალი, არ არის მთავრობის მოწყობილობა.

კრების გახსნა დაგვიანებით მოგვიხდა, რადგანაც ხალხი სამუშაოდან გვიან ბრუნდება. კრებას უმთავრესათ გაბალშევიკებული ჯარის კაცები დაესწრო. მათ ჩვეულებრივათ ასტეხეს განგაში გვარდიის წინააღმდეგ, რაც კი რამ ჭორები ჰქონდათ სულ გადმოალაგეს, და სცდილობდენ არც ერთი ჩემი სიტყვა არ გაეგონათ:

— ქალაქის მუშებმა 8 საათის სამუშაო დღე უკვე მოიპოვეს, ახლა გვარდიაში ეწერებიან და იქაც ხელს ითბობენ, ჩვენთვის კი ჯერ მიწაც არ მოუციათ და კიდევ ჩვენს წინააღმდეგ თოფ-ზარბაზნებით გამოდიანო.

— წითელი გვარდია რომ მოსყიდულია, ეს ჩვენ კარგათ ვიცითო: „პლენნები" გამოტყდენ—ამა და ამ თავადებმა მოგვისყიდესო და ისინი ჩვენ კიდეც გავუშვით, იმერლები კი არ გამოტყდენ.

— იარაღი აბა რათ დაგვირიგეს, თუ ახლა გვართმევენო.

ბოლოს ჩემი ლაპარაკი მაინც მოისმინეს.

იარაღის ჩაბარებაზე უარს ამბობენ, თუმცა ისიც სთქვეს, რომ თუ სხვა სოფლები ჩააბარებს, ჩვენც წინააღმდეგი არ ვიქნებითო.

აღსანიშნავია, რომ ქაღალდი აქაც მომთხოვეს. ამასაც არ დასჯერდენ და პასპორტიც გაშინჯეს. მერე მითხრეს: მართალი კაცი ყოფილხარო.

მეორე დღეს დილით ახალ გორისკენ გამოვსწიე, სადაც კრება მქონდა დანიშნული. რადგანაც კვირა იყო ადგილობრივ მცხოვრებლებს გარდა ახლო სოფლელებიც დაესწრნენ.

ზოგიერთი ელემენტები აქაც სცდილობდენ წყალი აემღვრიათ, ხალხი აეყოლებიათ. მაგრამ ვერას გახდენ. ზოგიერთნი დამთვრალიყვნენ კიდეც და ვინ იცის რას არ ბოდავდენ. *)

დაიწყეს ბალშევიკებისგან გაზეპირებულ და ათასჯერ გადაღეჭილ სიტყვების გამეორება: გვარდიელებმა კავკავის გზა დაგვიკეტეს და შიმშილით ამოგვწყდებითო. ხალხი ამან შეაწუხაო: დაჟინებით იმეორებდენ: სანამ მამულს არ მოგვცემენ ჩვენ იარაღს არ ჩავაბარებთო. მაგრამ ამაზე თვით ხალხმა იქვე გასცა პასუხი, რომ თუ იარაღი დატოვა მთავრობამ მიწის განაწილებამდის, ეს მაშინ სისხლის ღვრას გამოიწვევს და კომისიის მუშაობას ხელს შეუშლისო. კრების უმრავლესობა იარაღის ჩამორთმევის მომხრე იყო.

საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ ახალგორი ბუდეა ყოველგვარი პროვოკაციისა და ჭორებისა. აქ თავი მოუყრიათ სომეხ ვაჭრებს და ჩარჩებს, სოფლის წურბელებს, და შხამსა და გესლს ანთხევენ ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. ამ რაიონში ასეთი ხმა გაევრცელებიათ, თითქოს ჩვენს მთავრობას გადაეწყვიტოს სომხების და ოსების აყრა საქართველოს ტერიტორიიდან.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ასეთი ელემენტები, ხალხის მყვლეფელები და მილიონის პატრონები, ბალშევიკების რაზმის ავანგარდში მდგარან. ზოგიერთები დღესაც თავისუფლათ დათარეშობენ და პროვოკაციას ეწევიან. ზოგიერთნი კი ქვემძრომებივით ახლა ცდილობენ თავი მოიკატუნონ და თითქოს მთავრობის ერთგულება გამოიჩინონ.

ახალ-გორი ერთი საუკეთესო პუნქტია ქსნის ხეობაში, განსაკუთრებით თავის ადგილ მდებარეობით. მან დიდი როლი უნდა ითამაშოს ამ რაიონში, როგორც ხელმძღვანელმა ადმინისტრატიულმა, კულტურულმა და გეოგრაფიულმა ცენტრმა. აქ არსებობს საავადმყოფო, ყოფილა სკოლაც და მოწინავე პირები სცდილობენ ენკენისთვიდან უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს გახსნან. მაგრამ, აქ ერთ სამწუხარო გარემოებას აქვს ადგილი. ახლო-მახლო სოფლები თვით ახალ-გორს მტრულათ უყურებენ, აი სწორეთ იმ პროვოკაციის წყალობით, რომელსაც აქაური ჩარჩვაჭრები აწარმოებენ, სოფლებიც სცდილობენ ცალ ცალკე დაიარსონ სკოლა. ეს ძალთა დაქსაქსვას გამოიწვევს და არ არის სასურველი. ამიტომ აქაურმა დემოკრატიამ ახლავე უნდა ამოსდოს ლაგამი ყველა მავნე ელემენტებს, შეჰკრიბოს თავის ძალები ახალგორში, როგორც ცენტრში და თითონ გაუძღვეს თავის საქმეს. ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა გლეხთა აღმასრულებელი კომიტეტის აღდგენა, რომელიც ბალშევიკებს გაურეკიათ და რომელიც შეაკავშირებს ამ რაიონის სოფლების გლეხობას.

აქ არსებობს ახალ-გორის საზოგადოების კოოპერატივი. მაგრამ აქვე მეორე კოოპერატივი გაუხსნიათ, როგორც გადმოცემენ, ვაჭრებს. რას ნიშნავს ეს? დროა ხალხმა მიაქციოს ყურადღება ასეთ მოქმედებას.

საზოგადოთ ქსნის ხეობას არანაკლები მონაწილეობა მიუღია ამ მოძრაობაში. თუ არაგვის ხეობის აჯანყების სულის ჩამდგმელი თ. შოშიაშვილი იყო, აქ ყოფილა პაპუნაშვილი. ამ ხეობის ხალხმა არც კი იცის კარგათ, რომ დუშეთის მაზრაში მთავრობის ჯარმა და გვარდიამ გაიმარჯვა და წესრიგი დაამყარა.

როცა სოფ. იკოთში ერთ მოლაპარაკე გლეხს ვკითხე, იცის თუ არა მან, რომ დუშეთში გვარდია სდგას, მან თავი გააქნია და სთქვა: დუშეთში გვარდიას რა უნდაო, იქ გვარდია არ შესულაო. ამ ხეობის ხალხი კიდევ თამამად არის, პროვოკატორები არხეინად გრძნობენ თავს, კიდევ მოელიან მალე რაღაცას. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით უფრო შორეულ რაიონებზე: რეხულის და მონასტერის, რომელნიც ახლა ცალკე საკომისროთ არიან გამოყოფილნი. რეხულში სულ ოსობა სცხოვრობს. იქ შეიარაღებული ბრბო თავისუფლად დათარეშობს დღესაც.

მონასტერის რაიონში უმეტესობა ქართველობაა. მაგრამ ნაწილი ოსებიც არიან ამ ორ რაიონში კომისრები ჯერაც არ არის არჩეული. იქ წასვლაც მოუხერხებლად ვსცანი, სანამ კომისრებს არ აირჩევენ და იარაღს არ ჩააბარებენ მთავრობას.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე თუ რა აზრის არის აქაური გლეხობა მიწის საკითხის შესახებ.

ყველა სოფლები მოითხოვს მიწის კერძო საკუთრებათ დანაწილებას. მაგრამ სამწუხაროთ აქ გასანაწილებელი არა არის-რა: ძალიან სივიწროვეა მიწისა. ჯაგებიან მთა-ქედებს გლეხი აბა რას გამორჩება. ამიტომ ბევრი მსურველებია გადასახლებისა, თუ მას მთავრობა სხვაგან მიწას მიუჩენს. რაც შეეხება გამოსყიდვის საკითხს, უნდა ვსთქვა, რომ გლეხობა არსებითად წინააღმდეგი არ არის საფასური გამოიღოს, მხოლოდ ძალიან შიშობს, რომ ეს ფული მემამულეებს არ ჩაუვარდეთ ხელში, არ სჯერათ, რომ ფული ისევ მათ კეთილდღეობას მოხმარდება. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის, რომ ერთ სოფელში გლეხებმა განაცხადეს: ნუ დაერქმევა ამას მიწის გამოსყიდვა, სხვა სახელი იყვეს, თუნდაც მიწების დამიჯვნის ხარჯის ფული, და მაშინ ჩვენც სიამოვნებით გადავიხდითო.

ძალიან კმაყოფილია აქაური გლეხობა ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკით, როცა სინამდვილეს გებულობს და თითქმის ყველგან იძლევიან კითხვებს, რათ მოვიდა გერმანია, საქართველოს დამოუკიდებლობა რათ გამოაცხადა და სხვ. და მადლიერნიც არიან ჩვენის მთავრობისა, რომ მან ჩვენი ხალხი თათრების შემოსევისაგან გადაარჩინა.

უნიჰი.

———

*) მთელს მაზრაში სამხედრო წესებია გამოცხადებული, და ღვინის გაყიდვა აკრძალულია, აქ კი თავისუფლათ ჰყიდიან: მთვრალები თავისუფლათ დასეირნობენ და ჩხუბსაც ასტეხენ ხოლმე.

———

**გურია.** ოსმალეთი, „ჩეთნიკები" ხშირათ ავიწროებენ აგარაკ ბახმაროსა და ნაფარეულზე მყოფ მწყემსებსა და მეჯოგეებს. ხშირია შემთხვევები, რომ „ჩეტნიკები" თავს ესხმიან მათ და მიერეკებიან საქონელს. ამ დღეებში ბახმაროს საძოვრებზე ჰქონდა ადგილი ასეთ თავდასხმას, რასაც შეტაკება მოჰყვა ჩვენს ჯარსა და მათ შორის. „ჩეტნიკებმა" ისარგებლეს ნისლით და გადარეკეს რამდენიმე ათეული სული საქონელი.

არ გასულა ამას შემდეგ დიდი ხანი, რომ აგარაკ ნაფარეულზედაც მოხდა შეტაკება „ჩეტნიკებსა" და ჩვენს ჯარს შორის. „ჩეტნიკები", რიცხვით 60-მდე კაცი თავს დაესხა მწყემსებს და გარეკა საქონელი, უმთავრესად ცხენები. შეტაკების დროს დაიჭრა ჩვენი ჯარიდან ორი. ასეთი შემთხვევები ხშირათ მეორდება აღნიშნულ მთებში, რამაც ისე დააფრთხო ხალხი, რომ საძოვრათ გაგზავნილი საქონელი ბევრ ალაგებიდან ისევ უკან ჩამორეკეს.

— ამას წინად გომის მთაზე მდგომის მე-4 ხე პოლკის ნაწილის უფროსი შტ.-კაპ. ბარამიძე სამი შეიარაღებული ჯარისკაცით გადასულა აჭარაში, როგორც ხმები დადის, „ჩეტნიკების" მიერ გარეკილი საქონლის უკან დაბრუნების შესახებ მოსალაპარაკებლათ. ბარამიძე აგერ ორი კვირაა უკან არ დაბრუნებულა. ამბობენ, დაატყვევეს და ახალციხეში გაგზავნესო.. ბარამიძეს არავითარი ბრძანება არა ჰქონებია პოლკის უფროსისაგან მოლაპარაკების გამართვისა თუ მტრის ტერიტორიაზე გადასვლის შესახებ.

— ქ. ოზურგეთში ამ დღეებში დაატყვევეს და ადგილობრივ სატუსაღოში მოათავსეს 25-მდე პირი, ადგილობრივ მოქალაქეთაგან განურჩევლად სქესისა. მათ ბრალად ედება ქურდობა ოსმალთა ჯარების ოზურგეთში ყოფნის დროს. ოზურგეთში მცხოვრებთა უკან დაბრუნების შემდეგ ქალაქის თვითმართველობამ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია დაკარგულის, მაგრამ არა ოსმალეთში გატანილის, არამედ ადგილობრივად დამალული ნივთების მოგროვება-განაწილების საქმისათვის. კომისიამ მთელი ორი თვე იმუშავა ამ საქმეზე, მრავალი ნივთი აღმოაჩინა ადგილობრივათ მოპარული უპატრონოთ დარჩენილ ოჯახებიდან; ყველა ესენი შეგროვებული პატრონებს უკან დაუბრუნდა. ვისაც ნაპარავი ნივთები აღმოაჩნდა, დატყვევებულ იქნა კომისიის დადგენილების თანახმად. მათ საქმეს გაარჩევს ტრიბუნალი.

— ამ დღეებში ოზურგეთის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობამ ცნობა მიიღო რომ სურების ტყეს შემოესიენ შეიარაღებული ბალშევიკური ბანდები და სჩეხენ. ბანდები, თურმე შემოდიან ტყეში ქუთაისის მაზრის სოფლებიდან: ს. ვანი, დვალიშვილისეული და საპაიჭაოდან; შემოდიან რამდენიმე ასეულისაგან და სრულიად ანადგურებენ ტყეს. საადგილ-მამულო გამგეობამ ყოველივე ეს აცნობა გუბერნიის კომისარს და სთხოვა ზომების მიღება მათ წინააღმდეგ. ოზურგეთის მაზრის კომისარმაც მიიღო თავის მხრით საჭირო ზომები.

— სამაზრო საადგილ მამულო გამგეობამ ტყის გამგესთან ერთად შეიმუშავა დროებითი ნიხრი ტყეში დამზადებულ შეშასა და მასალებზე. არსებული ფასი სამჯერ იქნა გადიდებული.

— ოზურგეთში მე-4-ხე პოლკში დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი წრე. წრეს მიზნათ აქვს—ჯარისკაცთათვის სახალხო უნივერსიტეტისა და თეატრის მოწყობა და სხვა. წრეს ჰყავს გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულია პოლკოვნიკი ართმელაძე. დაარსდა რამდენიმე სექცია, სალექციო, სათეატრო, წყაროს გამომძებნელი და სხვ. სექციებში მუშაობენ როგორც სამხედრო, ისე ადგილობრივი არა სამხედრო პირები. ამ დღეებში გაიმართა წრის მიერ რამდენიმე ფასიანი და უფასო წარმოდგენა.

ხუხეინ.

———

**სამეგრელო.** თუ ხოლერა მთელ საქართველოს მოედო, ბევრ ხალხს შეიწირავს და გაგვანადგურებს, ყველა შეგნებულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები ამ ეპიდემიის წინააღმდეგ, ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე მოვლენას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები. თუ გვინდა ამ მოვლენას არ ექნეს ადგილი, უეჭველად უნდა მისი გამომწვევი მიზეზები მოვსპოთ, თორემ გაჩენის შემდეგ მისი მოსპობა გაძნელდება, ასე ითქმის ხოლერაზედაც. ყოველგან უნდა მოვსპოთ მისი გამომწვევი მიზეზები და დასაბამი, სადაც ეს ჯერ არ გაჩენილა, ხოლო სადაც უკვე გაჩნდა, იქ ენერგიული ბრძოლა ვაწარმოვოთ მის წინააღმდეგ. თუმცა სამეგრელოში ჯერჯერობით ხოლერის შემთხვევებს ადგილი არ ქონია, მაგრამ მაინც უნდა მივიღოთ მის საწინააღმდეგოთ ზომები, რომ არ გაჩნდეს.

მე მიუთითებ გლეხებს—სოფლელებს მხოლოდ ისეთ უბრალო ზომაზე, როგორიცაა მაგალითად სამ-სამი ან ხუთ-ხუთი კაცის ამორჩევა თითო სოფლიდან, რომლებიც ჩამოივლის სოფლის ყველა ოჯახებს და დაათვალიერებს ეზო მიდამოებს, არის თუ არა სისუფთავე დაცული, რადგანაც უსუფთაობა ითვლება მთავარ მიზეზად ხოლერის გაჩენისა, და თუ არ არის სისუფთავე დაცული, ზომები მიაღებინოს მის დასაცავად. ამ ს შეუძლია კარგი ნაყოფი გამოიღოს. ასეთ ზომებს უკვე მიმართეს ზოგიერთ შეგნებულმა სოფლებმა, სასურველია ამას სათანადო ყურადღება მიაქციოს რაიონულმა კომისრებმა, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ განკარგულება, რომ ამორჩეულ იქნას ყველა სოფლებში სანიტარული კომისიები. დაყოვნება შეუძლებელია. ასე საქმის მოგვარებით ჩვენ თავიდან ავიცდენთ მოსალოდნელ საფრთხეს.

ჭ. სახ—ლი.

# ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს: პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძემ ერთი ოქროს ზეჭედი, წონით 75 ნაწ., ვერცხლის ნატეხი, წონით 1 მისხ. და 75 ნაწ., ხუთი სპილენძის პატარა ფული, ოთხი მოდიდო სპილენძის ფული და ერთი უბრალო მედალი; დიმიტრი მიხეილის ძე ბახტაძემ 55 მედალი (სამასი წლ. იუბ.), 21 პატარა მედალიონები, ორი წითელი ჯვრის მედალი ძეწკვით და ბრელოკით—ვერცხლისა, 58 სხვადასხვა ნაირი მედლები, 120 ბრინჯაოს მედალი-ხატი, 1 იუბილეის ნიშანი მელხიორის და 12 სასამ. ნიშნები; კაპიტ. რაიბულოვმა ანნა მე-III ხარ. 1; გენ.-მაიორმა ობრაზცოვმა ვლადიმერი მეოთხე ხარ. 1; სპირიდონ გლახუას ძე თორთლაძემ თუთხმეტ მანეთიანი ოქროს ფული 1; სამი რუსული ვერცხლის მანეთიანი, ქინძისთვის ნატეხი ოქროსი ოთხი წვრილი მარგალიტით, ერთი თათრული ვერცხლის ფული და 8 ცალი წვრილი სპილენძის ფული; მიღებულია მღვდლის დავით გიუნაშვილის ოჯახისაგან ათი რუსული ვერცხლის მანეთიანი, ვერცხლის ჯვარი ძეწკვით და მედლით, ვერცხლის მტრედი, პატარა ვერცხლის მტრედი, პატარა ვერცხლის ფულები, წონით 66 მისხ, ვერცხლის საათის ბუდის ნახევარი, ერთი ვერცხლის აბაზიანი და სპილენძის ფული რუსული 8 მან. 48 კ., ანიჩკა და კალისტრატე იაკობაშვილებმა 8 მან. რუსული ვერცხლის ფული და 1 მ. და 41 კ. რუსული სპილენძის ფული; სეფორე ფილიმონის ასულმა ბარბაქაძემ რუსული ვერცხლის ფული 3 მან.; მელიტონ ალმასხანის ძე ფერაძემ ერთი ვერცხლის გულზე დასაკიდი მედალი; შტ.-როტმ. მუშნი დადიანმა სტანისლავა მესამე ხარ. ერთი და ერთი აფიცრის გიორგის ჯვარი ოქროსი მეოთხე ხარ. 1.

# წერილი რედ. მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქ. სოჩის თანამოაზრე ამხანაგებს და განსაკუთრებით მიხა ხოფერიას, კოლია მუჯირს, მათე მგელაძეს და სანაძეს, რომლებმაც დაუფასებელი დახმარება გაუწიეს თფილისის მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმის წევრებს, ბალშევიკების ხელში ტყვეთ ჩავარდნილებს, როგორც მატერიალური, ისე მტრის ხელიდან განთავისუფლების მხრითაც, რამაც იხსნა რაზმის დიდი ნაწილი სიკვდილისაგან და რასაც არასოდეს არ დაივიწყებს აღმასრულებელი კომიტეტის რევოლიუციონური რაზმი.

საგანგებო რაზმი.

———

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგს: სახალხო სახლის №288-ში არის მოთავსებული: შინაგან საქმეთა სამინისტრო კანცელარიის დირექტორმა რკინის გზის მილიციის უფროსს შემდეგი აცნობა: სურსათის მომწოდებელ კომიტეტის რწმუნებულის ცნობით გავიგე, რომ ათმა შეიარაღებულმა კაცმა, რომელიც თავის თავს რკინის გზის მილიციონერებს უწოდებდნენ, ივლისის 18 მოითხოვეს წითელი ჯვრის საწყობიდან ერთი ყინულის საკეთებელი ვაგონი, საწყობის გამგე მდივანმა უპასუხა: ვაგონს მხოლოდ კომიტეტის მოწმობით მოგცემთ, მაგრამ მას არ დაუჯერეს და ორთქმავალით ძალით გაიტაცეს ვაგონიო, გაფუჭებულია ელექტრონის მავთულები და სხვადასხვა. მე არ ვიცი, რად დასჭირდა ბ. მდივანს ასეთი შეუწყნარებელი [illegible] ყალბი ცნობების მოწოდება სამინისტროსთვის. აი საქმე როგორ იყო: ივლისის 18 სადგურის [illegible] უფროსმა კ. ჩხეტიამ [illegible] ვაგონი [illegible] რკინის გზის ცენტრალურ სახელოსნოსთვის საამისო ქაღალდებიც გადმომცა ხელმოწერილი საქართველოს რკინის გზის მილიციის უფროსისაგან და რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტისაგან. დავალებისამებრ წავიყვანე სამი მილიციონერი, ჩემთან ერთად წამოვიდა ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ჯიქია, მივედით წითელი ჯვრის საწყობში და მოვითხოვეთ ვაგონი, იქ მდგომმა უფროსმა დამცველმა დოკუმენტების დათვალიერების შემდეგ გადმომცა ვაგონი და მისი ნებართვით გადავეცი დანიშნულ ალაგას. საქმე ასე იყო და მაკვირვებს რად დასჭირდა ბ. მდივანს ასეთი ჭორების გადაცემა სამინისტროსთვის! ნუ თუ ეს მოსატყუებელია მდივანო ასეთი მოჭორილი ტყუილების გადაცემა სამინისტროსთვის! სად იყო ათი კაცი, ან სად დაშავდა რაიმე.

სადგურ ტფილისის უფროსი მილიციონერი შოთა სარჯველაძე.

ვამოწმებ ამ წერილს სადგურის მილიციის უფროსი კოწ. ჩხეტია.


# განცხადება

1 აგვისტოს თფილისის სადგურზე დავკარგე ბილეთი ჩოხატაურის საზოგ. კომისარისაგან მოცემული და მეტრიკული მოწმობა, რომელსაც გაუქმებულათ ვაცხადებ. პარმენ მიხაილის ძე ჯიქია. (1—1)

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—2)

# კერძო მიხეილის საავადმყოფო
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ი. გ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—6)

ექ. ქალი რ. ზ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სად. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი გ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

# განცხადება

თფილისის სამხედრო-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა სთხოვს წევრებს მოვიდენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც მოხდება ამა წლის **11 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე** ორთაჭალაში, „დასახიჩრებულ მეომართა თავშესაფარში", ტრავმოტოლოგიურ ინსტიტუტთან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—1) თფილისის სამხედრო დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა.

ნაცარწმულიან-ნახშირმჟავიანი წყალი

# ბორჯომი

1907 წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია უმაღლესი ჯილდო (Grand prix).

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბორჯომის წყალში არის მუდმივი ემანაცია, რაც ამტკიცებს მასში რადიის მარილის ნიშნების არსებობას.

**ბორჯომის წყალს** ექიმები ურჩევენ: 1) სასუნთქავ ორგანოების ქრონიკულ ანთების დროს, 2) კუჭისა და ნაწლევების ქრონიკულ ანთების დროს, 3) ჭაჭის, ნაღვლისა და შარდის მილის ავათმყოფობის დროს, ქრონიკულ რევმატიზმისა და სხვ., 4) საჭმლის მონელების მოშლის ყველა შემთხვევებში (ნიკრისის ქარი, სიმსუქნის და შაქრის ავათმყოფობა და სხვ).

**ბორჯომის წყალი** განირჩევა თავის უპირატესობით სხვა ნაცარწმულიან წყლებისაგან მით, რომ ის შეიცავს იოლს და ბრომის მარილს.

**ბორჯომის წყალი** დიდათ მარგებელია, როგორც კარგი გიგიენური სასმელი სადილობის დროს.

მთავარი საწყობი ბორჯომში. წარმომადგენლები: თფილისში, ელისაბედის ქუჩა, № 174, დოლიძე, ყვირილაში ძმები ნიჟარაძე და ა. გ. ჯალალანია. (7—4)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.